# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 21 ივლისი 2000 №138 (1160) | ფასი 50 თეთრი

# 56 000 000 $

# ისტორიული კონტრაქტი

## პერესმა ფიგუ ბარსელონადან რეალში გადაიყვანა




„რეალის“ წარმომადგენელმა „ადიდასის“ ოფისში შეკვეთა მიიტანა, 10-ნომრიანი მაისურა გვინდაო. რა გვარი დავაწეროთ? — ჰკითხეს რეალელს. ფიგუ — იყო პასუხი.

ლუიშ ფიგუს მადრიდის „რეალში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებული ერთთვიანი მითქმა-მოთქმა დასრულდა. დღეს უკვე ზუსტად ვიცით: მადრიდელებს 24 ივლისის საღამოს 6 საათზე, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლუიშ ფიგუს წარუდგენენ. ფიგუსთან ერთად ხალხი იმ მაისურასაც იხილავს, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. ის უკვე შეკერილია, თუმც ჯერჯერობით არავის უნახავს.

იხილეთ მეხუთე გვერდი



# ლუდი შარიანი სასმელია. მიირთვით ჩიტის საკენკი!

**ექვსი თვე გავიდა მას აქეთ, რაც საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრი, პორტუგალიაში ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალოსანი ვლადიმერ კაკაშვილი თბილისში არ ჩამოსულა. ლადო მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელია, რუსულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. „ლოკომოტივის" ფარმ-კლუბში სისტემატურად თამაშობს და წინასვლისთვის ემზადება. ექვსთვიანი დაძაბული შრომის შემდეგ კლუბმა რამდენიმე დღით დასასვენებლად გამოუშვა. დღეს იგი „სარბიელის" სტუმარია და ჩვენს კითხვებს პასუხობს.**



ვლადიმერ კაკაშვილი და მისი თანაგუნდელი ბელარუსი ზანგი მარკ ადო

— თბილისში რომ ჩამოვედი, მაშინ მივხვდი, როგორ მომნატრებია აქაურობა. ვცდილობ, ყველას და ყველაფრის ნოსტალგია გავიქარვო, მაგრამ ვხვდები, ვერ მოვასწრებ. 23-ში დილით ვარჯიშზე უნდა ვიყო. მწვრთნელი მენდო და ვერ ვუმტყუნებ. 28-ში პრინციპული თამაში გველის „სპარტაკის" ფარმკლუბთან; მწვრთნელმა (ანდრეი სიომინი „ლოკომოტივის" თავკაც იური სიომინის ვაჟია) მითხრა, შენი იმედი მაქვსო.

**— „ლოკომოტივის" შინაურ სამზარეულოში ჩახედული ხარ, რას ფიქრობენ მოსკოველი რკინიგზელები?**

— სიტყვებით ძნელია იმის ახსნა, რაც კლუბში ხდება. ჩემპიონობისთვის იბრძვიან, ჩემპიონთა ლიგაში სურთ მოხვედრა. პარალელურად ძველს ანგრევენ და ახალს აშენებენ. სულ მალე „ლოკომოტივს" ახალთახალი, თანამედროვე სტადიონი ექნება, ბაზა ცალკე შენდება, სასტუმროც და ათასგვარი კაფე-რესტორნები.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივს" სოჭში, კერძოდ ხოსტაში, თავისი ბაზა აქვს. იქაც გამალებული სამუშაოები მიმდინარეობს. სულ მალე იქაურობაც კეთილმოეწყობა.

**— „სპარტაკთან" გამარჯვებას როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

— სამწუხაროდ, იმ თამაშს ვერ დავესწარი. პარალელურად ჩვენც შეხვედრა გვქონდა, მაგრამ მატჩის შემდეგ ვნახე, რაც კლუბში ხდებოდა. მოსკოვში „ლოკომოტივისა" და „სპარტაკს" შორის ის დამოკიდებულებაა, როგორსაც „რეალისა" და „ბარსელონას" ურთიერთობებზე ჰყვებიან. ფაქტობრივად ერთმანეთს ვერ იტანენ და ასეთი კონკურენტის დამარცხება ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაახარებდათ.

**— ზაზა ჯანაშია თუა ფორმაში?**

— ყველა ერთხმად აღნიშნავდა, „სპარტაკთან" მატჩი ზაზამ მოიგოო. ჩინებულად უთამაშია. ტრავმის შემდეგ ცოტა უჭირდა, წონაშიც ვერ იკლებდა. ის კი არა, ოთხი მატჩი სიომინმა ჩვენთან, ფარმ-კლუბშიც ათამაშა; ახლა ისევ ჩვეულად გამოიყურება. მინდორზე ისევ მეომარია. შეუძლია, ვარჯიშებზე ყველაზე ნაკლები ენერგია დახარჯოს, მაგრამ თამაშისას ყველაზე მეტ სამუშაოს ასრულებს. დიდი ფიზიკური ძალის პატრონია. თანაც ასაკის მატებასთან ერთად გამოცდილებაც ემატება და ოსტატობასაც ხვეწს. სიომინი მას ყველასგან გამოარჩევს, სხვებზე მეტად ენდობა.

**— აწ უკვე სპარტაკელ ხიზანეიშვილს ხომ არ შეხვედრიხარ?**

— ჯერ ვერ ვნახე ოთარი. ხან შეკრებაზე იყო, ხანაც მე მქონდა თამაშები. იმედია, 28 ივლისს შევხვდებით ერთმანეთს.

**— „ლოკომოტივის" ფარმ-კლუბზე მოგვიყევი. როგორც ვიცით, თქვენ ცალკე ჩემპიონატში მონაწილეობთ.**

— დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩვენთან ხშირად თამაშობენ ძირითადი გუნდის წევრებიც.

სულ 20 ფეხბურთელი ვართ. ოცგუნდიანი ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდა. მეცხრე ადგილზე ვართ.

კონკურენცია დიდია. ძირითადი გუნდის ორი-სამი ფეხბურთელი სულ ჩვენთან თამაშობს. არიფულინს, ოგანესიანს, ჩერევჩენკოს, სიმენენკოს ტრავმების შემდეგ სიომინი ჩვენთან აჩვევდა მოედანს.

**— ძირითად გუნდთან თუ გივარჯიშია?**

— ზამთარში, მოსამზადებელ ეტაპზე კი. ახლა ისინი ძალიან საპასუხისმგებლო თამაშებისთვის ემზადებიან და... ზოგჯერ სიომინი ორმხრივ, ამხანაგურ მატჩს ატარებს და მე და რამდენიმე თანაგუნდელს აუცილებლად გვიხმობს ხოლმე.

**— გოლი თუ გაიტანე?**

— კი, ჩემს ანგარიშზე ერთი ბურთია. იაროსლავლის გუნდს ვეთამაშებოდით. გვიგებდნენ სტუმრები. თამაშის ბოლო წუთები მიმდინარეობდა. კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ადგილი კარგად შევურჩიე და...

გახარება ვერ მოვასწარი, ვხედავ, მინდვრის კიდესთან იური სიომინი, ოდნავ გვერდზე ზაზა ჯანაშია დგანან. იური პავლოვიჩ, ხომ ხედავთ „ლოკომოტივი" ქართველების გარეშე მკვდარი გუნდია, უთხრა ზაზამ. გაეცინა სიომინს, თავი დაუქნია.

**— „ლოკომოტივის" თავკაცი რას გეუბნება?**

— ის თითქმის არავის არ აქებს (რა თქმა უნდა, ჯანაშია გამონაკლისია). მოვა, კრაგი თამაშისთვის მადლობას მოგიხდის და წამსვე მომავალ თამაშზე დაიწყებს საუბარს. განცალკავებით მხოლოდ ერთხელ მესაუბრა, მითხრა, მცველთა რაოდენობამ და მათმა სახელებმა არ შეგაცბუნოს, მთავარია, მოღონიერდე, მოემზადე, ჯერ ჯანი გაკლია, როცა მზად იქნები, ითამაშებო.

**— გუნდის სავარჯიშო გრაფიკი როგორია?**

— თამაშიდან თამაშამდე ხუთდღიანი შუალედია. აქედან ორ-სამ დღეს ორჯერადი ვარჯიშებია, თამაშის წინა დღეს ერთხელ ვვარჯიშობთ. ვარჯიშის შემდეგ ტრენაჟორებზე გვამუშავებენ, ჩემპიონატში რომელ ადგილს დავიკავებთ, მნიშვნელობა არა აქვს. მწვრთნელები ამას ყურადღებას არ აქცევენ. მთავარია, არ გავარდე. ჩვენ მთავარი გუნდისთვის გვამზადებენ, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

**— კი მაგრამ, ხომ არის პრინციპული მატჩებიც?**

— რა თქმა უნდა. „სპარტაკის" ფარმ-კლუბთან აუცილებლად მოგებას გვთხოვენ, მოსკოვის „დინამოს" და „ტორპედოს" წინააღმდეგაც სულ სხვა თამაშებია. საერთოდ „დინამოს" ყველაზე ძლიერი დუბლშემადგენლობა ჰყავს. მათთან დაპირისპირებას „ლოკომოტივის" თითქმის ყველა ხელმძღვანელი დაესწრო. 2:0 მოვუგეთ და გახარებულმა თავკაცობამ პრემიებიც კი გამოგვიწერა. სხვა დროს ასეთი არაფერი მომხდარა.

**— კვებისა და გამაგრილებელი სასმელების მხრივ რამეს ხომ არ გიკრძალავენ?**

— თამაშამდე სამი საათით ადრე ვსადილობთ. ამ დროს კიტრი, პამიდორი, ხორცი, პური აკრძალულია. მსუბუქად ვნაყრდებით მაკარონითა და სხვადასხვა ბოსტნეულით, ხილით.

თამაშის წინ, მერეც ვიტამინებს გვასმევენ. თამაშამდე ცოტა ყავა, შოკოლადი და ლიმნიანი ჩაი შეიძლება. ახლა რაღაც ნატურალური ვიტამინები შემოიღეს. ჩიტების საკენკს ჰგავს. მოსკოვის სიახლოვეს სოფლებში ამზადებინებენ სპეციალურად. „პჩილიცას" ეძახიან. ქათმის ხორცის, კვერცხის გულისა და ცილის გემო დაჰკრავს. არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ ერთ კოვზს გაუძლებს კაცი. ენერგიას გვმატებს და ორგანიზმზეც სასიკეთოდ მოქმედებს.

ალკოჰოლი აკრძალულია. სულ ახლახან ჩვენი ზანგი მარკ ადო, მამით განელი და დედით ბელარუსი, ლუდით ხელში ნახეს და კინაღამ გუნდიდან გაუშვეს.

თავისუფალ დროს არავინ გამოწმებს. შენ თავად უნდა იცოდე, რა გარგებს და რა შეგიშლის ხელს. მწვრთნელი თამაშზე ხვდება, ვინ სად და როგორ იცულლუტა. სადაც გინდა, რაც გსურს აკეთე, მაგრამ მინდორზე არაფერი უნდა შეგეტყოს. ნაცულლუტარი თამაშს ჩააგდებ, ესე იგი პროფესიონალი არ ხარ.

**— ისევ სასტუმროში ცხოვრობ?**

— კი. ბაზაზე ხომ რემონტია. იქაც ყველაფერი მაქვს. ვიდეო, ტელევიზორი, ტელეფონი, მუსიკალური ცენტრი, კომპიუტერი. მოკლედ, მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრე, სხვა პირობები არ გაკლია.

**— მოსკოვში სულ რამდენი ქართველი ფეხბურთელი ხართ?**

— მე, ზაზა და ოთარი. ჯიშკარიანს არსად შევხვედრივარ. კიდევ ჯანაშიას 12 წლის ძმაა „ლოკომოტივის" ბავშვთა გუნდში; თუ ასე გააგრძელა, მალე ზაზასაც აჯობებსო, ამბობენ მწვრთნელები.

**— რუსს აშკარად არ გავხარ ქალაქში მოძრაობისას იქაურ პოლიციასთან პრობლემები ხომ არ გქონია?**

— არის შემთხვევები, გამაჩერებენ ხოლმე, საბუთებს შეამოწმებენ, მომიბოდიშებენ და ჩემს გზაზე მივდივარ. ჯერ პრობლემები არ ყოფილა.

**მამუკა კვანტალიანი**

# გიორგი ქინქლაძემ ოპერაცია გაიკეთა

## ქართველი ნახევარმცველი ხუთი კვირა დაისვენებს



გიორგი ქინქლაძე აგვისტოს მიწურულს ითამაშებს

**ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ** საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური „დერბი ქაუნთის" ნახევარმცველმა გიორგი ქინქლაძემ საზარდულის ოპერაცია გაიკეთა. ქირურგიულმა ჩარევამ წარმატებით ჩაიარა. ექიმთა ვარაუდით, ქინქლაძეს დაახლოებით ერთი თვე მოუწევს დასვენება. ამ ხნის განმავლობაში გიორგი პრემიერლიგის მორიგ ჩემპიონატში, რომელიც 19 აგვისტოს იწყება, პირველ ორ ტურს გამოტოვებს, „საუთჰემპტონთან" და „ნიუკასლთან" ჩვენებური „დერბი ქაუნთის" ვერ დაეხმარება. მინდორს ქინქლაძე სავარაუდოდ 26 აგვისტოს დაუბრუნდება, „ევერტონთან" მატჩში.

ქართველი ფეხბურთელი საზარდულმა თბილისში შეაწუხა. ქინქლაძე სხვა ლეგიონერებთან ერთად ფორმის შესანარჩუნებლად დილმის ბაზაზე ვარჯიშობდა, ფეხიც მაშინ ასტკივდა, თუმცა ამას ყურადღება არც თავად მიაქცია და არც „დერბის" ხელმძღვანელობამ. ჩვენებურიც ინგლისურ კლუბს ცოტა ხნის წინ ესპანურ შეკრებაზე გაჰყვა. ტრავმა იქ გაუმიზეზდა.

გუნდის ექიმთა გადაწყვეტილებით, ქინქლაძე ლონდონში ჩავიდა, სადაც რენტგენი გადაიღო. ორშაბათს კი პასუხიც მიიღო, მკურნალობა ოპერაციის გარეშე არ გამოვაო.

გიორგის ტრავმასთან დაკავშირებით „დერბის" მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა გულისტკივილი მაშინვე გამოთქვა, ცუდი ამბავია, რა დროს ქინქლაძის ტრავმა იყოო, აღნიშნა. გუშინწინ ჟურნალისტებთან საუბრისას სმიტი ქართველი ფეხბურთელის ტრავმას ერთხელაც მიუბრუნდა.

„ნამდვილად დიდი დანაკლისია. გიორგი ხუთი კვირით გამოგვაკლდა. იმედი მქონდა, ქინქლაძე გუნდთან ერთად ახალი სეზონისთვის სრულყოფილად მოემზადებოდა და თავის კლასსა და შესაძლებლობებს კიდევ ერთხელ დაამტკიცებდა. უიმედოდ მაინც არ ვარ, ვფიქრობ, იგი ამას შეძლებს" — ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა საუბარი მწვრთნელმა.

**ვანო ოქროპირიძე**

# პირველი მარცხი

**ᲒᲣᲨᲘᲜ** გერმანიაში შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ" მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ობერლიგელი ბერლინის „უნიონი", მეორე ბუნდესლიგაში გადასასვლელი მატჩი პენალტებით რომ წააგო, ჩვენებურებს თავისი საუკეთესო მოთამაშეებით დაუპირისპირდა.

„ვიტ ჯორჯიამ" გუშინწინდელი შემადგენლობიდან („კოტბუსთან" 1:1) 8 ფეხბურთელი დაასვენა. თამაში ვეტერინარებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: *მამარდაშვილი, ე. ალადაშვილი, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, კოტორაშვილი, ზ. გვაზავა, ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი, გოცირიძე, ადამია.*

ვეტერინართა მწვრთნელებს პირველ ტაიმშივე ორი მოთამაშე გამოაკლდათ — ედიშერ ალადაშვილმა და გიორგი ყიფიანმა ტრავმები მიიღეს და თამაში მათ ნაცვლად *ჭილლაძემ* და *საჯაიამ* განაგრძეს.

თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ. წონასწორობა რევაზ გოცირიძემ აღადგინა. თამაშის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე სერგო კოტრიკაძემ მინდორზე *დილმელაშვილი, ნოზაძე, ქორიძე* და *სულთანიშვილი* შეიყვანა. როგორც გვაცნობეს, ჩვენებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაცუდებიათ.

დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მსაჯმა „ვიტ ჯორჯიას" კარში პენალტი დანიშნა — ჭანკოტაძემ ბურთი მკერდზე მიიღო, მსაჯმა ხელით ითამაშეო და თერთმეტმეტრიანი მასპინძლებს დაარტყმევინა. მამარდაშვილმა თავისიანები ვერ გადაარჩინა და „უნიონმა" 2:1 მოიგო.

მომდევნო მატჩს „ვიტ ჯორჯია" ხვალ ბუნდესლიგის „ჰანზასთან" ჩაატარებს.

**დათო დანელია**

# კარი ყველგან ერთია

*ერთი თვის წინ „ბათუმის“ ყოფილმა თავდამსხმელმა ლევან ხომერიკმა შვეიცარიას მიაშურა. მოგეხსენებათ ბათუმელთა თავკაცმა ჯანი კარნევალიმ ჩვენებურით იქაური უმაღლესი დივიზიონის კლუბი „არაუ“ დააინტერესა. შვეიცარიელებმაც ხომერიკს გასინჯვა შესთავაზეს. ორკვირიანი დაკვირვების შემდეგ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლევანის დატოვება გადაწყვიტა. ხომერიკმა „არაუსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.*

*ქართველის ტრანსფერი თითქოს უხმაურო იყო. გაზეთებში ერთი ის დაიწერა, „არაუმ“ ახალი მოთამაშე იყიდაო, მშრალ ინფორმაციას ზოგიერთმა გამოცემამ ფრინვერის პატარა კომენტარი დაურთო.*

*შვეიცარიის ჩემპიონატი 15 ივლისს დაიწყო. ერთი დღით ადრე კი „არგაუერ ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „კარი საქართველოშიც ამ ზომისაა.“*

„საეჭვო არაა — ახალ სეზონში „არაუს“ თავდასხმაში არ გაუჭირდება. როცა ლევან ხომერიკი ფლანგზე გაიჭრება და „დავაი, დავაის“ დაიძახებს, ეს იმას ნიშნავს, რომ დარიუშ სკრჟიპჩაკმა მაშინვე გამოზომილი გადაცემა უნდა გაუკეთოს, უცებ შუაში გაქცეული როუმენ ივანოვი დაიყვირებს — „ხაჩუ ფუტბოლ“ და... წამიც არ უნდა დაიკარგოს, ხომერიკს პასის, თანაც ზუსტის, დაგვიანების უფლება არა აქვს. ივანოვი კი ძლიერი დარტყმით კარის ბადეს შეარხევს. ასე რომ, რუსული ენა „არაუს“ მეტოქეებს წლეულს პრობლემებს შეუქმნის. და რუსულად მოლაპარაკე პოლონელ სკრჟიპჩაკს, ბულგარელ ივანოვსა და ხომერიკს თუ კიდევ ერთ ქართველ ამირან მუჯირს დავუმატებთ, რომელიც ახლახან შეუერთდა გუნდს, თუმცა ჯერ მხოლოდ ისინჯება, შეგვიძლია, „არაუში“ მთავარ ენად რუსული ჩავთვალოთ.

ცნობისათვის, ხომერიკმა ქართულისა და რუსულის გარდა ინგლისურიც იცის. თუმც ამაზეც არ აპირებს გაჩერებას. „მალე გერმანულის კურსებზე ვივლი“ — ამბობს იგი. ფეხბურთელს თუ თანაგუნდელების არ ესმის, მინდორზე ძალიან გაუჭირდება. „არაუს“ კი ცდა არ მოუწევს, ხომერიკი გერმანულს როდის ისწავლის. ქართველმა უკვე დაამტკიცა, რომ გოლების გასატანად ენის ცოდნა სულაც არ სჭირდება. 1998 წლის გაზაფხულზე „რასინგ მეხელენში“ სამი თვე ითამაშა, ფრანგული სულაც არ იცოდა, მაგრამ ჩატარებულ შვიდ მატჩში ექვსი გოლი გაიტანა. ხომერიკი ბელგიაში დიდხანს არ გაჩერებულა, მალე თბილისის „დინამოში“ დაბრუნება მოუხდა, რატომ, დღემდე არ იცის. „გუნდის ნახევარზე მეტმა მაშინ „რასინგ მეხელენი“ დატოვა“ — იხსენებს ფეხბურთელი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ თბილისში კი დაბრუნდა, მაგრამ გასული სეზონი მშობლიურ ბათუმის „დინამოში“ გაატარა. ბათუმელებმა საქართველოს შარშანდელ ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავეს.

ახლა 26 წლის ხომერიკი მეორედ ჩამოვიდა დასავლეთ ევროპაში, კვლავ შეეცდება შეეგუოს აქაურ ფეხბურთს. ბევრი წინადადება ჰქონდა რუსეთიდან, უკრაინიდან და საქართველოდან, მან კი „არაუ“ არჩია, რადგან იმედოვნებს, რომ აქ სასურველ გარემოს იპოვის. პირველი შთაბეჭდილებები პოზიტიურია. „ყველაფერი კარგადაა. ყველამ ჩინებულად მიმიღო. ძალიან კარგი, ოჯახური ატმოსფეროა“ — კმაყოფილია ლევანი, რომელსაც ბრწყინვალედ მოეხსენება, რას სთხოვენ მას „არაუში“ — გოლებს, თანაც იმდენს, რამდენიც „ბათუმში“, თბილისის „დინამოში“ ფუ „რასინგ მეხელენში“ გაჰქონდა.

ხომერიკი საამისოდ მზადაა. „თავს მშვენივრად ვგრძნობ, კარგ ფორმაში ვარ, თუმცა ადაპტაციისთვის ცოტა დრო დამჭირდება, ახალ თანაგუნდელებს ხომ უნდა შევეჩვიო“ — ამბობს იგი. ქართველი თავს ბედნიერად გრძნობს, მაგრამ არც იმას მალავს, რომ უფრო ბედნიერი იქნება, თუ მისი თანამემამულე და თანაგუნდელი ამირან მუჯირიც „არაუში“ დარჩება. მათ ერთად ბევრი უთამაშიათ და, როგორც ამბობენ, ერთმანეთის უსიტყვოდ ესმით. ხომერიკს მუჯირის პასით ბევრი გოლი გაუტანია.

ხომერიკს შვეიცარიაში კიდევ ორი კარგი ნაცნობი ჰყავს. გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი, რომლებიც ახლა „ციურიხის“ ღირსებას იცავენ, თბილისში გაიცნო. იქაურ „დინამოში“ ერთად გამოდიოდნენ. ჯერაც უცოლო ხომერიკმა ისინი დიეტიკონში უკვე ორჯერ მოინახულა. ამიტომ ნოსტალგიას სულაც არ განიცდის. რა თქმა უნდა, ბათუმშიც ხშირად რეკავს, იქ მშობლები ეგულება. ლევანი და მისი და ბათუმში, შავი ზღვისპირა ქალაქში გაიზარდნენ და მშობლიურ ქალაქზე ყოველთვის სიამაყით საუბრობს. „ბათუმი კურორტივითაა, გარშემო სულ ტყეებია, ჰაერიც ძალიან სუფთაა, რადგან ცოტა ქარხნებია“ — აღნიშნავს ხომერიკი.

საშუალო სკოლა ლევანმა ბათუმში დაამთავრა, მერე ოთხი წელი ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა, ფეხბურთიც იქ ისწავლა, 21 წლისა კი თბილისში გადაბარგდა. იგი დედაქალაქის „დინამომ“ მიიწვია, რომლის შემადგენლობაშიც ევროტურნირებზე ითამაშა. ჩემპიონთა თასზე ბილბაოს „ატლეტიკთან“ 1:0 მოგებულ (გაზეთს უზუსტობა მოუვიდა, „დინამომ“ თბილისში 2:1 მოუგო ესპანელებს, ანგარიში კი ხომერიკმა გახსნა — ვ.ო.) მატჩში გოლი სწორედ მან გაიტანა. სხვა მნიშვნელოვანი გოლებიც გაუტანია.

ლევან ხომერიკი მაღალი, ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელია. თავის სიცოცხლეში თავდამსხმის გარდა არსად უთამაშია. გოლების გატანა კარგად ეხერხება და რადგან საქართველოშიც იმ ზომის საფეხბურთო კარებებია, რამხელაც შვეიცარიაშია, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავის შესაძლებლობებს „არაუშიც“ ნათლად წარმოაჩენს.

ხომერიკს საქართველოს ნაკრებში (შვეიცარიულ გაზეთს ახალგაზრდული გუნდი ჰყავს მხედველობაში — ვ.ო.) ათი მატჩი ჩაუტარებია, მათ შორის გერმანიის და უელსის გუნდებთან. ევროპის 2000 წლის შესარჩევ ეტაპზე ქვეყნის ეროვნული ნაკრების შედეგი კი მისთვის დღემდე გამოცანად რჩება, ქართველებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს და ლატვიასა და ალბანეთსაც ჩამორჩნენ.

„ნაკრების ყველა ფეხბურთელი საზღვარგარეთ თამაშობს“ — ამბობს ხომერიკი და ჩამოთვლასაც იწყებს: იაშვილი, კობიაშვილი, არველაძე, ქეცბაია... იქვე ამატებს, ნაკრებში თამაში კარგია, მაგრამ ახლა მხოლოდ „არაუზე“ ვფიქრობ. ჩემი მთავარი მიზანი შვეიცარიის ჩემპიონატის პირველ ტურში ჟენევაში „სერვეტთან“ გამარჯვებაა“.

**თარგმნა ვანო ოქროპირიძემ**



ლევან ხომერიკი



ორი უკრაინელი ქართველი: კახა კალაძე (მარცხნივ) და მიხეილ ფოცხვერია

# მერანი რუსით და უკრაინელებით

## ფოცხვერია კი სექტემბრამდე დნიპროში ითამაშებს

**მიხეილ ფოცხვერია**, რომელიც თბილისის „მერანის“ საკუთრებაა, მაგრამ ამ გუნდში ერთხელაც არ უთამაშია და ბოლოს ვლადიკავკაზის „ალანიაში“ იყო განათხოვრებული, ახლა კვლავ უკრაინაშია და დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ ვარჯიშობს. მისი და „მერანის“ მენეჯერ ვოვა ჩერქეზოვის თქმით, რომელსაც მოსკოვში შევეხმიანეთ, ფოცხვერია „დნიპროში“ ალბათ სექტემბრამდე დარჩება და უკრაინის ჩემპიონატში ითამაშებს.

ჩერქეზოვი ამჟამად უცხოელ სტუმრებს ელის და მათთან ერთად დნეპროპეტროვსკს ეწვევა. სტუმრები ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ქვეყნის კლუბის წარმომადგენლები იქნებიან. მათ ფოცხვერიას თამაშის ნახვა სურთ, რადგან მისი გადაბირება განუზრახავთ. რომელი ქვეყნის კლუბზეა საუბარი, ჩერქეზოვმა არ გაგვიმხილა, თუმც დააყოლა, ორ დღეში შემეხმიანეთო.

„მერანის“ თაობაზე კი მენეჯერმა გვითხრა, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია, თბილისის ეს გუნდი, უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ორ და ერთ რუს ფეხბურთელს დაიმატებს. ისინი ახალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებენ.

**კობა ინასარიძე**

# დინამო ისევ გაორდა

„**დინამო**“ რომ სავალალო დღეშია და ერთობ უჭირს, მოგეხსენებათ. კლუბს ვალები ჯერაც არ გაუსტუმრებია და ერთი შეხედვით უიმედოდ გამოიყურება. უეფამ ამას წინათ მკაცრად დაუქნია თითი საქართველოს ათგზის ჩემპიონს და ტრანსფერის განხორციელების უფლება შეუჩერა. მალე ფიფას სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომა გაიმართება და ღმერთმა უწყის, ქართველ კლუბს როგორ ვერდიქტს გამოუტანს. რას აკეთებს ამ დროს „დინამო“? არც მეტი, არც ნაკლები — ექსჩემპიონებმა ფარმკლუბი „დინამო 2“ ააღორძინეს. „დინამოს“ მდგომარეობის გათვალისწინებით კლუბის დირექტორთა საბჭოს ასეთი გადაწყვეტილება ცოტა მოულოდნელიც გახლდათ. სხვა თუ არაფერი, ყოველივე გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული, თორემ ფარმკლუბის ჩამოყალიბება რომ პერსპექტიული და სამაგალითო საქმეა თქმა არ უნდა.

გუშინ რამაზ მუმლაძეს დავუკავშირდით, „თბილისის“ მდგომარეობის გარკვევა გვსურდა. სწორედ მუმლაძის ხელმძღვანელობით ჩაამთავრა ამ გუნდმა გასული პირველობა. „დინამო 2-ის“ ამბებიც ბატონ რამაზისგან გავიგეთ...

— „თბილისისას“ ვერაფერს მოგახსენებთ, კლუბიდან უკვე წამოვედი. რამდენიმე დღის წინ „დინამოს“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით ფარმკლუბი „დინამო 2“ ჩამოყალიბდა. მეც გუნდში მიმიწვიეს — მთავარ მწვრთნელ ჯემალ ჩიმაკაძეს დავეხმარები — გვითხრა მუმლაძემ.

დეტალებში გასარკვევად „დინამოს“ პრეზიდენტთან, მერაბ რატიანთან დაკავშირება ვცადეთ, თუმც ამაოდ. ერთი რამ კი ცნობილია, „დინამო 2“ უკვე მესამე დღეა, დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს, გუნდში ჯერჯერობით 1983-84 წლებში დაბადებული 14 ფეხბურთელია, მაგრამ მუმლაძის თქმით, სელექციური სამუშაოები ჯერაც გრძელდება. ცნობილია ისიც, რომ „დინამო 2“ ახალი ჩემპიონატში რეგიონალურ ლიგაში ითამაშებს.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ X ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ ორი ფარმკლუბი ჰყავდა, ბოლოს ეულად დარჩა, „დინამო 3“ დაიშალა, „დინამო 2“-მა კი პირველი ჯგუფის (დღევანდელი უმაღლესი ლიგა) საგზური მოიპოვა, ცალკე ერთეულად ჩამოყალიბდა და „თბილისად“ იქცა... ჰო მართლა, „თბილისი“... ეს კლუბი დღეისათვის დიდ გაურკვევლობაშია, არადა, „დინამოს“ ფარმკლუბის ჩამოყალიბება ყოფილი შვილობილის ბაზაზეც შეეძლო. მით უფრო, რომ „თბილისი“ დღეისათვის პირველი ლიგის ბინადარია, მაგრამ...

**ბაატა ქვანტალიანი**

# გორდა განაჩენს მანავში დაელოდება

**კიდევ** ერთხელ ვთქვათ რუსთაველთა გასაჭირზე... 19 ივლისს უხელფასობით და დაპირებებით დაღლილმა „გორდას“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ქალაქის მერიას მიაკითხეს. რას გვპირებთო? აი, კითხვა, რომლითაც გორდელებმა ქალაქის მერს ლაშა მინდელს მიმართეს. თვითმხილველთა თქმით, შეხვედრა გარკვეულწილად დაძაბული ყოფილა, ფეხბურთელებს პირდაპირ, დაუფარავად უსაუბრიათ ქალაქის ხელმძღვანელებთან თავიანთ პრობლემებზე...

გუშინ „გორდას“ მთავარ მწვრთნელ იასონ ალადაშვილს დავუკავშირდით. — ქალაქის ხელმძღვანელებთან გუნდის შეხვედრას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ჩვენი ბედით დაინტერესებულთა საერთო ძალისხმევით „გორდას“ ჩემპიონატის წინ ნაყოფიერი შეკრების პერსპექტივა გამოუჩნდა. ფაქტობრივად გადაწყვეტილია — გუნდი 25 ივლისიდან 10 აგვისტომდე მანავში მოემზადება. მერე კი სასამართლოც გამოიტანს გადაწყვეტილებას და ალბათ ყველაფერი კარგად დამთავრდება — იმედს არ კარგავს ალადაშვილი.

„გორდას“ საშინაო სარბიელ „ფოლადთან“ დაკავშირებული სასამართლო პროცესი წესით და რიგით 2 აგვისტოს უნდა დასრულდეს. თუკი ამ დღესაც არ გამოცხადდა მოპასუხე მხარე, სასამართლოს უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. ეს კი ალბათ ქალაქის მერიის და „გორდას“ წისქვილზე დაასხამს წყალს.

დაბოლოს, დღეს 19 საათზე რუსთაველები საკონტროლო მატჩში აზერბაიჯანულ „ხაზარს“ უმასპინძლებენ.

**ბაატა ქვანტალიანი**

# როგორც წავა, ისე მოვა...

„სამგურალი“ ის გუნდია, ვისაც მეთერთმეტე ეროვნულში გამოსვლა პასივში ჩაეწერა. დიდი სურვილისა და ბევრი მცდელობის მიუხედავად წყალტუბოელებმა მაინც ვერ შეძლეს უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება და ახალ სეზონში მათ უკვე პირველ ლიგაში მოუწევთ თამაში.

საახალსეზონოდ მზადებას კი „სამგურალი“ ერთი კვირის წინ შეუდგა. გუნდი სოფელ გუბრინში თავისსავე ბაზაზე შეიკრიბა და წვრთნასაც ძირითადად იქვე გადის. წყალტუბოელთა ამოცანა მეთორმეტე ეროვნულში აქედანვეა ცნობილი — უმაღლეს ლიგაში დაბრუნება. „სამგურალს“ ამის გამოცდილებაც გააჩნია. გუნდი ხუთი წლის წინაც ჩამოქვეითდა პირველიდან მეორე ჯგუფში და სულ ერთი სეზონი დასჭირდა უკან დასაბრუნებლად.

ერთი სიტყვით, წყალტუბოელები ვარჯიშობენ და მომავალსაც იმედიანად შეჰყურებენ. არადა, გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა. „სამგურალი“, ფაქტობრივად, ძირითადის ნახევარზე მეტმა მოთამაშემ დატოვა. მათგან ყველაზე გამოცდილი 34 წლის მამუკა ხუნდაძე, თურმე, აზერბაიჯანს გამგზავრებულა.და იქაურ განჯის „ქიაფაზში“ აპირებს კარიერის გაგრძელებას. ასევე ვეტერანებმა არჩილ ჩხაბერიძემ და ირაკლი გიორგობიანმა რუსეთს მიაშურეს და, შესაძლოა, მეორელიგელ ვოლჟსკის „ტორპედოში“ ითამაშონ.

გუნდიდან წასვლა გადაუწყვეტიათ გამოცდილ მალხაზ ვოსკანოვს და ლადო ჭყონიას. „სამგურალს“ გაზაფხულზე „ტორპედოდან“ მივლინებული მეკარე სტურუაც აკლია. ზვიადი უმაღლესლიგელ თსუ-ს გაჰყოლია შეკრებაზე (სტუდენტები ლაგოდეხში ემზადებიან), მაგრამ თენგიზ კაციას გუნდში „ტორპედოს“ მესვეურთა ნების გარეშე ვერ ჩაირიცხება. ერთი სიტყვით, სტურუას საკითხი მოგვიანებით გადაწყდება. შემცირებულა „სამგურალის“ მწვრთნელთა კორპუსიც. იასონ ბზიკაძის თანაშემწეთაგან ერთ-ერთი გიორგი გაბიჩვაძე ქუთაისში ბავშვებთან იმუშავებს.



იასონ ბზიკაძე

„სამგურალში“ სხვა ცვლილებებიცაა მოსალოდნელი. სადღეისოდ გუნდში მოვარჯიშეთა რაოდენობა სამ ათეულ კაცს აღწევს. ამათ შორის მრავლად არიან ახალგაზრდები. გუნდში დამრჩენთა ვინაობას ბზიკაძე, ბუნებრივია, თავის დროზე დაასახელებს. ჩვენთვის ისაა ცნობილი, რომ „სამგურალის“ თავკაცს დიდი სურვილია მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპისათვის „ტორპედოდან“ მისულ ბიჭებს გაუგრძელდეთ მივლინება. ამ საკითხზე ბზიკაძეს უსაუბრია კიდევაც დავით ყიფიანთან და თანხმობაც მიუღია, ეგ კი არა, „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელს უთქვამს, თუ დაგჭირდათ, სხვებსაც დაგახმართო.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**

# ძალა ფეროში და ერთობაშია

## ზესტაფონში ორი გუნდი გაერთიანდა

საბოლოოდ გადაწყდა. საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი 19 აგვისტოს დაიწყება, 26 აგვისტოს კი პირველი ლიგის (გასულ სეზონში რეგიონალური ლიგა რომ ერქვა) გუნდებიც იზეიმებენ ჩემპიონატის დაწყებას. როგორც იცით, ახალი რეგლამენტით პირველ ლიგაშიც 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ამას წინათ მითქმამოთქმა ატყდა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლო იყო, ზოგიერთ პირველლიგელს ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი ეთქვა, მაგრამ გუშინ სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტში გვითხრეს, რომ ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი არავის უთქვამს. მეტიც, თურმე ზოგმა გუნდმა საწევრო თანხაც კი შეიტანა ფედერაციის სალაროში.

პირველლიგელთა შორის ერთი სიახლეცაა. ზესტაფონში ორი კლუბი — „მარგვეთი“ და „მეტალურგი“ გაერთიანდა. ამას წინათ, ფედერაციაში ზესტაფონის გამგეობის წერილი მოვიდა. ბევრი ვიფიქრეთ და საქმისთვის უმჯობესი გადაწყვეტილება მივიღეთ, ქალაქის ორ გუნდს გავაერთიანებთ, მათ სააქციო საზოგადოება „ფერო“ გაუწევს პატრონობასო — იტყობინებიან ზესტაფონიდან. სფფ-საც საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა და ახალი გუნდი გაატარა რეგისტრაციაში. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი ლიგის საგზური გასულ სეზონში „მარგვეთმა“ მოიპოვა, გაერთიანებულ გუნდს კი პატრონებმა „მეტალურგი“ უწოდეს („ფეროს“ ეს სახელი უფრო შეეფერება) და ახალ ჩემპიონატშიც სწორედ ამ სახელით ითამაშებენ ზესტაფონელები.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რეგიონალური ლიგის გასულ ჩემპიონატში ურიგოდ არც „მეტალურგს“ უთამაშია. თანაქალაქელებს სხვაზე მეტ კონკურენციას სწორედ ეს გუნდი უწევდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ორეულს მიღმა აღმოჩნდა. ისე, ამ გაერთიანებით „მარგვეთი“ უფრო დაიჩაგრა — გარდა იმისა, რომ ახალ გუნდს ყოფილი მეტოქის სახელი დაერქვა, პრეზიდენტიც „მეტალურგის“ შერჩა და, როგორც ამბობენ, ახალი გუნდის ძირითადი ბირთვის უმრავლესობაც ყოფილი მეტალურგელები იქნებიან. თუმც ალიანსის სარგებლიანობა ეჭვს არ იწვევს, ჩვენში ერთი ქალაქისთვის ორი გუნდის შენახვა ცოტა საძნელო საქმეა, გაერთიანებით კი გუნდის ნორმალურად შენახვის და წარმატების გაცილებით მეტი შანსი აქვთ ზესტაფონელებს, იმედიანადაც არიან, ამბობენ ახალი „მეტალურგი“ წარსულ დიდებას დაუბრუნებს ზესტაფონურ ფეხბურთსო...

**პაატა ქვანტალიანი**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი) | გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი) | 09.07-დან ბულგარეთში ემზადება. 26.07 კლაკსვიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს ხვდება. *დილა 4:0, სპარტაკი (ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბულგარეთი) 0:2,* |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი) | სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭიღლაძე (ს.ა. იბერია) | 13.07-დან გერმანიაში ემზადება *თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, პოჰენშმელნი (გერმანია) 4:0, კოტბუსი (გერმანია) 1:1* |
| **დინამო** *რევაზ არველაძე* | ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (?), გ. შენგელია (ლოკომოტივი) | კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი) | *შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07-დან თბილისში ემზადება |
| **ბათუმი** *ჯანი კარნეჯალი* | *მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია),* ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (მუქურა), გელა ქორიძე (მერანი), ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე (?) | კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), კ. მჟავანაძე (მუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი) | 08.07 ბათუმში, 18.07-დან ჩაქვში ემზადება |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი) | რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გოჩა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეჟავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2) | 11.07-დან ბაკურიანში ემზადება |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი), მესიაჩენკო (ოკეანე) | 27.06-დან ბოლნისში ემზადება |
| **იბერია** *სოსო ფრუიძე* | ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, (?, რუსეთი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი) | | 05.07-დან მოსკოვში ემზადება |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოქლაშვილი (მწვრთნელი) | მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი), გრიგალაშვილი (ცხინვალი), ა. ხმალაძე (არსენალი) | 21.06-დან გორში ემზადება *ტორპედო 0:4, ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1* |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | დევაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), კობესაშვილი (ლოკომოტივი) | ოდიშარია (ხობი), დავითნიძე (კოლხეთი), გელა ქორიძე (ბათუმი) | 10.07-დან თბილისში ემზადება |
| **ლოკომოტივი** *რევაზ ძოძუაშვილი* | *ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი),* ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, ონიანი (?), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი), ჭიჭველიშვილი (ისრაელი) | გონჩაროვი, ზ. გაგნიძე (თბილისი), ნაროუშვილი, ივეჩიანი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ხობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი), კობესაშვილი (მერანი) | 25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 22.07-დან კოჯორში მოემზადება *გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2* |
| **თსუ** *თენგიზ კაცია* | ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია) | მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ბუკია (გორდა) | 17.07-დან ლაგოდეხშია, 04.08-14.08 კი მალთაყვაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1* |
| **გორდა** *იასონ ალადაშვილი* | გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ბუკია (თსუ) | ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი) | 28.06-დან რუსთავში ემზადება *ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0* |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# თოლია, შენ რეალს ახარებ!



კაცი ვარო, ფლორენტინო პერესმა თქვის

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

**რაღას** არ ამბობდნენ ფლორენტინო პერესზე, მისი ცნობილი დაპირება არჩევნებისწინა ფანდია და მეტი არაფერიო. მას კი სურს, მაგრამ თავად ფიგუ „ბარსელონას“ ვერ შეელევაო, ხოლო ლორენსო სანსმა მას შეშლილი უწოდა. ეჭვები ფლორენტინო პერესის კლუბის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ უფრო გაღრმავდა. ბოლო დღეებია, „რეალის“ ახალ მეთაურს გასაქანს არ აძლევდნენ — როდის აასრულებთ დანაპირებს, როდის გადმოიყვანთ ფიგუსო — ეკითხებოდნენ. პერესი კი მხოლოდ ამას პასუხობდა: „თავი დამანებეთ, დავიღალე, ამ თემაზე ლაპარაკი აღარ მსურს.“ მოდი და ნუ დაეჭვდები.

ის კი სიტყვის კაცი აღმოჩნდა, თქვა და შეასრულა კიდეც. ლოდინი დიდხანს არ მოგვიწევს — 24 ივლისის 6 საათამდე. მანამდე კი...

ლუიშ ფიგუ შვებულებას კუნძულ სარდინიაზე ატარებს. იქ არის კურორტი, რომელსაც ესმერალდა ჰქვია და ფიგუც იქ დაბინავდა ცოლ-შვილთან, ელენთან და დანიელასთან ერთად. დასვენება კი ისეთი ვერ გამოვიდა, ფეხბურთელს რომ სურდა. ცნობილი ადამიანების ხვედრია — ნაბიჯს ისე ვერ გადადგამ, უამრავი ცნობისმოყვარე თვალი არ გითვალთვალებდეს. ხოლო მავან ცნობისმოყვარეს ხელში ფოტოაპარატიც თუ უჭირავს, უეჭველად პაპარაცი იქნება. ერთი ასეთი „ფოტომოყვარული“ ფიგუს თავზე მაშინ წაადგა, როცა ის ქვიშაში შვილს ეთამაშებოდა. შემეშვიო, ანიშნა ფიგუმ. პაპარაცი კი (ვინმე ანდრეა ბელმონტე) თავის საქმეს განაგრძობდა. ფიგუ გაბრაზდა, ძალას მიმართა — აპარატი წაართვა და ფირი ამოიღო. პაპარაცები ჭკვიანი ხალხია, კენტად არ დადიან. ბელმონტეს კოლეგა ამ დროს ბუჩქს ამოფარებოდა და გაბრაზებულ ფიგუს მშვიდად უღებდა. საბოლოოდ საქმეში პოლიცია ჩაერია და მოჩხუბარნი გააშველა.

ეს იყო და ეს, მას მერე ფიგუ და მისი ოჯახი პლაჟის იშვიათი სტუმრები გახდნენ და დროს მეტწილად სასტუმროში ატარებდნენ.

ამ ამბის ბრალია, რომ ფიგუ ინტერვიუზე არ თანხმდება და ჟურნალისტებს გაურბის. თუმცა რაღაც წყაროებით ცნობილი გახდა ფიგუსა და პერესის საუბრის შინაარსი, როცა ფეხბურთელმა „რეალის“ პრეზიდენტის შეტევას ვეღარ გაუძლო და თქვა ის სიტყვა, რომელსაც მისგან ელოდნენ: „დიახ“.

ერთი საგულისხმო ფაქტიც. ამ ორიოდე დღ[illegible] წინ ფიგუს ესმერალდაში მისმა აგენტმა ხოსე ვეიგამ და ძველმა მეგობარმა პაულო ფუტრემ ჩააკითხეს. სასტუმროს რესტორანში ვახშმობისას, რომელსაც ფიგუს მეუღლე არ ესწრებოდა, ისინი დიდხანს საუბრობდნენ. გვერდით მაგიდებთან მსხდომთ ყური მოუკრავთ, რომ საუბრის თემა ესპანური ფეხბურთი იყო. ახსენეს მიქაელ ლაუდრუპიც, რომელიც თავის დროზე „ბარსელონადან“ „რეალში“ გადავიდა. ეგებ სწორედ მაშინ გადაწყვიტა ფიგუმ ფლორენტინო პერესის წინადადება მიეღო? ვინ იცის... ისე, წინადადება მართლაც გულუხვია...

„ბარსელონასთან“ კონტრაქტის დარღვევისთვის კატალონიელები 56 მილიონ დოლარს მიიღებენ. ცხადია, ამ თანხას „რეალი“ გადაიხდის და არა ფიგუ. ახალ კონტრაქტში კი უკვე სამმაგი თანხა წერია — შეეცდება ვინმე ფიგუს გადაბირებას? კი ბატონო, გადაიხადოს 168 მილიონი. პერესი, ამგვარი ფანტასტიკური თანხის მიუხედავად, თავს მაინც იზღვევს და ფეხბურთელის შესაძლო მოსურნეთა გარდა თავად მასაც აფრთხობს — კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში პირადად ფიგუს „სამეფო კლუბისთვის“ 28 მილიონი ექნება გადასახდელი. კონტრაქტი კი ექვსწლიანია და პორტუგალიელი ყოველი სეზონის ბოლოს 4,48 მილიონი დოლარით გამდიდრდება. ამასთან, ამ ხელფასიდან ფიგუს საშემოსავლო გადასახდელი არ ექნება. ესეც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი!

და ისევ მაისურას ამბავი. „რეალში“ პირველი ნომრით ბოდო ილგნერი თამაშობს. ბოლო, 34-ნომრიანი კი ვინმე დავიდ აგანსო მენდესს აცვია.

პირველიდან ოცდამეთოთხმეტემდე კი ექვს მაისურას არ ჰყავდა პატრონი: 10, 15, 16, 23, 24 და 30-ნომრიანებს. ფიგუს, ცხადია, საყვარელი „შვიდიანი“ სურდა და ალბათ დაუთმობდნენ კიდეც, მისი მფლობელი რაული რომ არ ყოფილიყო. ფიგუ „რეალში“ რაულთან საჩხუბრად არ მიდის. „შვიდიანს“ შეელია და „ათიანს“ დაადო ხელი. რითია ცუდი? თავის დროზე ეს მაისურა „რეალში“ ფერენც პუშკაშს და ლუის სუარესს ეცვათ, ისინი კი დიდი ფეხბურთელები იყვნენ. რაული ახალ პარტნიორს სიხარულით ხვდება: „მე ფიგუს კარგ პარტნიორობას გავუწევ, ფიგუ კი — მე.“

დაბოლოს, ესპანური გაზეთი „მარკა“ ლუიშ ფიგუს „რეალში“ გადასვლას ასეთი სიტყვებით შეხვდა:

„ფიგუმ სარდინიის ცაზე თავისი ნათელი მომავალი დაინახა. ეს მოხდა ესმერალდას სანაპიროზე. ცაში თოლია მიფრინავდა. ფიგუმ ახედა ცას. თოლია უკვე შორს იყო, მაგრამ ლურჯ ცაზე მაინც გარკვევით მოჩანდა თეთრი წერტილი. ფიგუს გაეღიმა, თეთრი ხომ მისი ახალი მაისურის ფერია.“

**გიორგი დარჯანია**

## ჩემპიონთა ლიგა. პირველი შესარჩევი ეტაპი

საპასუხო მატჩები. 19 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 2:0 კლაკსვიკარი (ფარერები) (3:0)**
1:0 ბოშკოვიჩი (10პ), 2:0 დრულიჩი (16)
ცრვენა ზვეზდა: კოციჩი, მარკოვიჩი, ვიტაკიჩი, ლალატოვიჩი, ვაიცეტიჩი, ლერინცი, ილიჩი (გეორგიოვსკი 66), გვოზდენოვიჩი, დრულიჩი, სტევანოვიჩი (მირკოვიჩი 72), ბოშკოვიჩი (მარკოსკი 72)

**შამქირი (აზერბაიჯანი) 4:1დ.დ. (2:1) სკონტო (ლატვია) (1:2)**
1:0 კვარაცხელია (2), 1:1 სამუსევასი (30), 2:1, 3:1 კვარაცხელია (90, 100), 4:1 კულიკოვი (110),

**ზიმბრუ (მოლდოვა) 3:2 ტირანა (ალბანეთი) (3:2)**
1:0 ოპრია (7), 1:1 რეზარტი (10), 1:2 კენესეი (23), 2:2 ოპრია (31), 3:2 ბორეცი (75)

**ბატე (ბელარუსი) 2:1 შირაქი (სომხეთი) (1:1)**
1:0 როგოჟკინი (17), 2:0 ლოშენკოვი (58), 2:1 ტაკმაზიანი (73)

**ლევადია (ესტონეთი) 4:0 ლანსანტფრაიდი (უელსი) (2:2)**
1:0 კრომი (45), 2:0 ფენინი (58), 3:0 ცელნოკოვი (60), 4:0 ედუარდსი (65ს.კ.)

**ბროტნიო (ბოსნია) 3:0 ჟალგირისი (ლიტვა) (0:4)**
1:0 კატიჩი (32), 2:0 იურიჩიჩი (39), 3:0 კატიჩი (41პ)

**ლევსკი (ბულგარეთი) 2:0 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) (4:0)**
1:0 ივანოვი (35), 2:0 ივანკოვი (53პ)

**ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 2:1 ჰაკა (ფინეთი) (0:1)**
1:0, 2:0 ფერგიუსონი (21პ, 74), 2:1 კოვაჩი (88პ)

**შელბურნი (ირლანდია) 1:1 სლოგა (მაკედონია) (1:0)**
1:0 ჰეილოკი (67), 1:1 ნუიჯი (81პ)

**რეიკიავიკი (ისლანდია) 4:1 ბირკირკარა (მალტა) (2:1)**
1:0 უინიე (11), 2:0 ბენედიქტსონი (45), 2:1 სპიტერი (56), 3:1 სიგურდსონი (60), 4:1 მარტეისონი (66)

**ბელგრადში** ოფიციალურად დადასტურდა, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე „ცრვენა ზვეზდა“ იქნება. პირველი მატჩის შემდეგ ეს გარდაუვალი იყო — იუგოსლავიელებმა ხომ ფარერელები კუნძულზე 3:0 დაამარცხეს. „კლაკსვიკარს“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ბელგრადში სასწაული თუ იხსნიდა.

არ არის „კლაკსვიკარი“ ის გუნდი, სასწაული მოეხდინა. არც ბელგრადელებს ეტყობოდათ, რომ სტუმრად მოპოვებულ სამბურთიან უპირატესობას შინიდან იოლად გაატანდნენ ვინმეს. ასე რომ, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა — სამაისო ქალაქი ჩემპიონთა თასზე ამავე ტიტულის რამდენიმეწლისწინანდელ მფლობელს უმასპინძლებს.

ბელგრადის „მარაკანას“ სტადიონზე მე-16 წუთი იწურებოდა, როცა ყველაფერს ნათელი მოეფინა — მასპინძლები ორი ბურთით დაწინაურდნენ. მე-10 წუთზე ბოშკოვიჩის გატანილ პენალტს მე-16-ზე დრულიჩმა მეორეც მიაყოლა და საბოლოო შედეგი მატჩის დებიუტშივე დააფიქსირა. ორი შეხვედრის ჯამში კი იუგოსლავიელებმა 5:0 გაიმარჯვეს.

დანარჩენი მატჩების ჩამონათვალს თვალი რომ გადავავლოთ, გრანდ და სახელიან გუნდებს ნამდვილად ვერ შევხვდებით, აქა-იქ მეტ-ნაკლებად საინტერესო წყვილს თუ წავაწყდებით.

„შამქირი“ — „სკონტოს“ შეხვედრაში ქართველმა ბადრი კვარაცხელიამ იყოჩაღა. ამჟამად აზერბაიჯანის ნაკრებში და „შამქირში“ მოთამაშე ფორვარდმა ჰეთ თრიქი შეასრულა, თანაც მეორე გოლი მეტად მნიშვნელოვანი გამოუვიდა. 90-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა ლატვიელთა კარი დალაშქრა და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა.

აზერბაიჯანელებმა 4:1 მოიგეს და მომდევნო ეტაპზე მოხვდნენ, სადაც მათი მეტოქე ჩეხეთის „სლავია“ იქნება.

„ჟალგირისმა“ ბოსნიური „ბროტნიო“ პირველ მატჩში 4:0 დაამარცხა და თავს უფლება მისცა, საპასუხო შეხვედრაში ყურადღება ოდნავ მოედუნებინა. ზედმეტი კი მოუვიდა, ბოსნიაში 0:3 წააგო. ერთიც რომ გაეშვა, ვინ უწყის, რა მოხდებოდა... მომდევნო ეტაპზე ეგებ „ბროტნიო“ გასულიყო...

ერთიც აღვნიშნოთ, ჩატარებული ათი მატჩიდან ცხრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, ფრე მხოლოდ ერთ შეხვედრაში დაფიქსირდა. ირლანდიურმა „შელბურნმა“ და მაკედონიურმა „სლოგამ“ თითო ბურთი გაუტანეს ერთმანეთს, თუმც „შელბურნს“ პირველი მატჩი 1:0 მოეგო და ამიტომ მომდევნო ეტაპზე სწორედ იგი მოხვდა.



ბროტნიო — ჟალგირისი 3:0. ჟალგირისელი ბარასა ნერიუსი (№2) და ბროტნიოელი მარიო ლაუსი

## ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ჰაკა (ფინეთი) — ინტერი (სლოვაკეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ტორპედო (საქართველო)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ბატე (ბელორუსი)
დინამო (რუმინეთი) — პოლონია (პოლონეთი)
შელბურნი (ირლანდია) — რუსენბორგი (ნორვეგია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)
შტურმი (ავსტრია) — ჰაპოელი (ისრაელი)
ზიმბრუ (მოლდოვა) — მარიბორი (სლოვენია)
სლავია (ჩეხეთი) — შამქირი (აზერბაიჯანი)
ანდერლეხტი (ბელგია) — ანორთოსისი (კვიპროსი)
შახტარი (უკრაინა) — ლევადია (ესტონეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია) — ჟალგირისი (ლიტვა)
ბრონდბიუ (დანია) — რეიკიავიკი (ისლანდია)
ჰაიდუკი (ხორვატია) — დუნაფერი (უნგრეთი)

*მატჩები გაიმართება 26 ივლისს და 2 აგვისტოს*

## შვეიცარია

II ტური

**ციურიხი 2:2 სერვეტი**
0:1 პეტროვი (7), 0:2 რეი (25), 1:2 ფრიკი (39), 2:2 ჯამარაული (64)
ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, კასტილიო, პალასი, ჰელდმანი, დელ სინიორი, ჯამარაული, ბონალაირი (კვენტინი 71), ფრიკი, ბარტლეტი, ყაველაშვილი (შასო 81)

**არაუ 0:2 ლუგანო**
0:1 გიმენეზი (44), 0:2 როსი (51)
არაუ: ბენიტო, ეგიმანი (იოდერი 59), პეიჯი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი, ბალდასარი (ლა პლასა 78), პრევიტალი, სკრჟიპჩაკი, ვიდერკერი, ხომერიკი (დე ნაპოლი 59), ივანოვი

**ლოზანა 4:2 ივერდონი**
1:0, 2:0 მაცონი (15, 26), 2:1 რენფერი (45), 3:1 მაცონი, 4:1 ბიულმანი (66), 4:2 დიოჯო (81)

**სენტ გალენი 2:1 ლუცერნი**
1:0 ჟაირო (43), 1:1 ფრაი (45), 2:1 ამოა (47)

**ქსამაქსი 2:0 ბაზელი**
1:0 ალექსი (50), 2:0 ზამბაზი (90)

**სიონი 1:0 გრასჰოპერი**
1:0 ენელტონი (25)

**შვეიცარიის** ჩემპიონატის მეორე ტური პირველთან შედარებით ქართველთათვის უფრო წარმატებული აღმოჩნდა. სამშაბათს წლევანდელ სეზონში პირველი „ქართული“ გოლი გავიდა: „სერვეტთან“ საშინაო შეხვედრაში 64-ე წუთზე გოჩა ჯამარაულის შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმულმა ბურთმა ჟენეველების კარის ბადე შეარხია და წაგების საფრთხის წინაშე მდგარი „ციურიხიც“ ქულას გამორჩა.

თავიდან ციურიხელები 0:2-ს აგებდნენ. პეტროვის და რეის გოლებით სტუმრებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, თუმც შენარჩუნება ვერ შეძლეს. პირველი ნახევრის მიწურულს „ციურიხის“ მთავარმა მეგოლემ მარიო ფრიკმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. მეორე ნახევარში მასპინძლებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქის კარსაც მონდომებით შეუტიეს, რამაც შედეგი მხოლოდ ერთხელ გამოიღო. ჯამარაულის გოლის შემდეგ „ციურიხი“ გამარჯვებისკენაც ისწრაფვოდა, მაგრამ სტუმართა მესამედ დამწუხრება ვეღარ მოახერხა. 81-ე წუთზე გუნდის თავკაცმა შეტევის გამწვავება სცადა, ყაველაშვილის ნაცვლად შასო შეიყვანა, არც ამან გაჭრა. ციურიხელებმა ზედიზედ მეორედ ითამაშეს ფრედ.

ლევან ხომერიკის „არაუმ“ კვლავ წააგო და ცხრილის ფსკერზეც დაილექა. როლფ ფრინგერის გუნდი ერთადერთია, ვინც წლეულს ქულის აღება ჯერაც ვერ შეძლო. პირველი მატჩისგან განსხვავებით, ხომერიკმა „ლუგანოსთან“ საშინაო მატჩში მხოლოდ 59 წუთი ითამაშა, მერე პატრიკ დე ნაპოლიმ შეცვალა, თუმცა უკვე ორი ბურთით ჩამორჩენილ თავისიანებს ვეღარც მან უშველა. „ლუგანო“ კი ამ მოგებით გალიდერდა.

შარშანდელ ჩემპიონ „სენტ გალენს“ შინ „ლუცერნთან“ იმხელა უპირატესობა ჰქონდა, 5:1 მაინც უნდა მოეგო, მაგრამ საბოლოოდ 2:1-სღა დასჯერდა.

„გრასჰოპერი“ „სიონს“ ეწვია და დამარცხებული წამოვიდა. ერთადერთი გოლი ენილტონმა 25-ე წუთზე შეაგდო. „კალიების“ ხელმძღვანელობა მატჩის მიწურულს ვა-ბანკზე წავიდა — მინდორზე ტრავმირებული შტეფან შაპუიზა შეიყვანა, თუმც „გრასჰოპერს“ ამანაც არ უშველა.

„ლოზანამ“ კი მელონის ჩინებული თამაშის წყალობით აჯობა „ივერდონს“. მეტოქის კარში პირველი სამი გოლი სწორედ მან გაიტანა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად მარტომ გადაწყვიტა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ქსამაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| სერვეტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| გრასჰოპერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| ბაზელი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| სენტ გალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლოზანა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ციურიხი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ლუცერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ივერდონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| არაუ | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |



REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინა — ეკვადორი 2:0. კლაუდიო ლოპესმა სტუმრებს მეორე გოლი გაუტანა

# კრანიოტის დუბლი, რომელიც ჰეთ თრიქად ვერ იქცა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## სამხრეთ ამერიკა

### არგენტინა 2:0 ეკვადორი

1:0 კრესპო (24), 2:0 კლაუდიო ლოპესი (51)
არგენტინა: ბონანო, აიალა, სენსინი, სამუელი, ძანეტი, სიმეონე, ვერონი, კილი გონსალესი (სორინი 78), ორტეგა, კლაუდიო ლოპესი, კრესპო (აიმარი 78)
ეკვადორი: სევალოსი, დე ლა კრუზი, პოროსო, ურტადო, აიოვი, ტენორიო, ბლანდონი, ობრეგონი, აგუინაგა (აგუინანგა 88), ედუარდო ურტადო, დელგადო (გრაციანი 74)
50 000 მაყურებელი

არგენტინელებს ტრავმირებული გაბრიელ ბატისტუტა არ ჰყავდათ, თუმცა მინდორზე მისი ყოფნის აუცილებლობა არც ყოფილა. არგენტინამ მეტოქე ისედაც იოლად დაამარცხა, მით უმეტეს, რომ ეკვადორის ნაკრებს სამხრეთ ამერიკაში სერიოზულ ძალად არავინ აღიქვამს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მატჩში არგენტინასთან ერთად სერჯო კრანიოტიმაც გაიმარჯვა. გოლები სწორედ იმ ფეხბურთელებმა გაიტანეს, რომლებიც კრანიოტიმ „ლაციოსთვის" ამ ზაფხულს შეიძინა — ერნან კრესპომ და კლაუდიო ლოპესმა.

კრესპოს გოლი მარჯვენა ფლანგიდან არიელ ორტეგას პასს მოჰყვა. მსოფლიოს უძვირეს ფეხბურთელს წინ ორი მცველი ელობებოდა, მაგრამ მან თავისუფალი სივრცე შენიშნა, რომელიც ეკვადორელთა კარისკენ გზას გაუკვალავდა და ბურთიც იმ მიმართულებით დაარტყა.

ერნან კრესპოს გოლამდე კი ხუან სებასტიან ვერონს შეეძლო თავის გამოჩენა. უკვე მე-2 წუთზე სტუმართა კარში პენალტი დაინიშნა, რომლის დარტყმაც ლაციოელმა იკისრა და გააფუჭა. ისე, უნდა ითქვას, რომ სამართალმა პური ჭამა. ტელეკამერამ ნათლად აჩვენა, რომ ეკვადორელთა საჯარიმოში არიელ ორტეგა საკუთარი ინიციატივით წაიქცა და მეტოქე მცველი უდანაშაულო იყო. აღსანიშნავია, რომ ორტეგა ამგვარი რამეების დიდოსტატია — არგენტინელთა სამ საშინაო მატჩში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა მსაჯები ორტეგას ანკესზე ეგებიან და არარსებულ თერთმეტმეტრიანს ნიშნავენ.

რაკილა მსაჯთა შეცდომებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ დავუმატოთ, რომ პენალტის გარდა მატჩის არბიტრმა დანიელ ბელომ კიდევ რამდენჯერმე შესცოდა. შეხვედრის მიწურულს რობერტო აიალა ალექს აგუინაგაზე ტყუპი გაშლილი ფეხით წავიდა და ისე ჩასცხო, ეკვადორელი მინდვრიდან ექიმთა გასაყვანი შეიქნა. ამ დანაშაულისთვის კი წითელ ბარათს ვინ ჩივის, არბიტრს აიალა არც გაუფრთხილებია.

თუმცა ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, თითქოს არგენტინის ნაკრებმა დაუმსახურებლად მოიგო. მასპინძლები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და საწყის 20 წუთში კრესპომ, ძანეტიმ და ორტეგამ სამი ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენეს. ეკვადორელებს კი მთელი მატჩის მანძილზე ერთადერთი კარგი მომენტი შეექმნათ და მაშინაც ედუარდო ურტადომ ოდნავ უზუსტოდ დაარტყა.

არგენტინელთა მეორე გოლი აუგუსტო პოროსოს შეცდომას მოჰყვა. მან კლაუდიო ლოპესის შეჩერება ვერ შეძლო და ყოფილმა ვალენსიელმა მეკარე სევალოსი იოლად მოატყუა.

ახლა არგენტინას ხუთი თამაშიდან 15 ქულა აქვს და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს რომ მოიპოვებს, ეჭვიც აღარავის ეპარება.

### ბოლივია 1:0 ჩილე

1:0 სუარესი (85)
ბოლივია: სორია, რივეირო, პენა, სანდი, სარბალო (რიმბა 38), გალინდო (კოლკე 65), გარსია, ბალდივიესო, სალუსტრო, ბოტერო (გიტიერესი 55), სუარესი
ჩილე: პაპია, ვილაროელი, რეისი, ფუენტესი, როხასი, მალდონადო, კორნეხო, პელო, ესტაი (ეკტორ პაპია 69), სამორანო (ნავია 84), როსენტალი (დავიდ პისარო 69)
30 000 მაყურებელი

ბოლივია — ჩილეს შეხვედრის მიმოხილვა ბოდიშის მოხდით უნდა დავიწყოთ. ამ რამდენიმე თვის წინ ვწერდით, რომ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ იმსჯელა და ბოლივიელებს დედაქალაქ ლა პასში საერთაშორისო მატჩების გამართვა აუკრძალა. მიზეზი ამ ქალაქის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაში უნდა ვეძებოთ. საქმე ის გახლავთ, რომ ლა პასი ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც ჰაერი გაიშვიათებულია და არათუ ბურთის დევნა, სუნთქვაც ჭირს. უფრო ზუსტად კი ეს პრობლემა სტუმრად ჩასულ ფეხბურთელებს აწუხებთ, თორემ იქაურები თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. ამიტომაც ბოლივიის საეჭვო კლასის ნაკრების ლა პასში დამარცხება თვით არგენტინელთა და ბრაზილიელთათვისაც ურთულესი საქმეა, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ისიც დავუმატოთ, რომ ბოლივიელები ერთ ხერხსაც მიმართავენ — მატჩებს შუადღისას ატარებენ, როცა მზე ზენიტშია. ამ დროს ნორმალური ადამიანი თავს გაყინულ წყალში უნდა ყოფდეს.

საბოდიშო კი ის გვაქვს, რომ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდი გამოდგა და მკითხველი შეცდომაში შევიყვანეთ. ჩილელებს ბოლივიელებმა კვლავ ლა პასში უმასპინძლეს. თუმცა უფლებას ვიტოვებთ, თავი ვიმართლოთ — რა ჩვენი ბრალია, თუ ოკეანისგაღმელები საკუთარ წესებს არ ასრულებენ.

რაც შეეხება მატჩს, გუშინწინ ლა პასში თაკარა მზე თავსხმა წვიმამ შეცვალა და მოედანი გვარიანად დაალბო. ესეც კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ტექნიკურ ჩილელებს თამაში არ წაუვიდათ. ყველაფერს მეორე ტაიმში ივან სამორანოს ტრავმაც დაერთო, რამაც მასპინძლებს ხელ-ფეხი გაუხსნა.

ჩილელთა მეკარე ნელსონ ტაპიას ბლომად ოფლის ღვრა მოუხდა, თორემ ანგარიში ადრევე გაიხსნებოდა. ბოლივიელთა აქტივში ერთი ხარიხას გარტყმული ბურთიცაა.

ამის მიუხედავად, სტუმრები ვაჟკაცურად იცავდნენ თავს და ქულის ასაღებად ხუთი წუთიც უნდა გაეძლოთ, მაგრამ 85-ე წუთზე როხერ სუარესის ერთადერთმა გოლმა ბოლივიას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პირველი გამარჯვება მოუტანა. ბოლივიელები ახლა ბოლო ადგილსაც ასცდნენ და აუტსაიდერ ვენესუელას ერთი ქულით უსწრებენ.

### პერუ 0:1 კოლუმბია

0:1 ხუან პაბლო ანხელი (48)
პერუ: ვეგასი, სოტო (კარლოს ფლორესი 57), რებოსიო, პაჯუელო, ოლივარესი, ხაიო, სოლანო, სოლარი, პალასიოსი, პისარო, სუნიგა (ლობატონი 57)
კოლუმბია: კორდობა, გონსალო მარტინესი, ივან კორდობა, იეპესი, ბოლანო, კანდელო (ერნანდესი 66), ვივეროსი, გარსია (დინასი 77), ბედოია, ანხელი, ვალენსიანო (რესტრეპო 46)
45 000 მაყურებელი

საცოდავი სანახავები იყვნენ პერუელი ფეხბურთელები მატჩის შემდეგ. მთელი 90 წუთი ისინი უტევდნენ, კუთხური ხომ იმდენჯერ ჩააწოდეს, დათვლა გაჭირდა, ორჯერაც ბურთი ხარიხას გაარტყეს. კლაუდიო პისარომ ერთხელ ახლო მანძილიდან ცარიელ კარს ისეთი დიდი მანძილით ააცილა, თავადაც სახტად დარჩა. წამატებულ დროში კი კოლუმბიელებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს.

რას აკეთებდნენ ამ დროს კოლუმბიელები? მთელი გუნდით დაცვაში ჩამსხდარიყვნენ და მასპინძელთა შეტევებს იგერიებდნენ. ისინი წინ მხოლოდ ერთხელ წავიდნენ და ბედი არ გინდა, გაიტანეს.

ამ მოგებით კოლუმბიელები ოთხეულში შევიდნენ, ხოლო პერუელები ეკვადორის ნაკრებსაც კი ჩამორჩებიან. თვრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პერუელები ბოლოჯერ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეები. ეს შანსი მათ ამჯერადაც ეცლებათ ხელიდან.

გიორგი დარჯანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 5 | 5 | 0 | 0 | 14:2 | 15 |
| ურუგვაი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| პარაგვაი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| კოლუმბია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ბრაზილია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ეკვადორი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| პერუ | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |
| ჩილე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| ბოლივია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ვენესუელა | 5 | 1 | 0 | 4 | 5:14 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რივალდო (ბრაზილია) | 4 |
| ბატისტუტა (არგენტინა) | 3 |
| კრესპო (არგენტინა) | 3 |



**სლოვენიელმა** ზლატკო ზაჰოვიჩმა „ოლიმპიაკოსიდან" „ვალენსიას" მიაშურა. ბერძნული კლუბის ხელმძღვანელობამ ეს ინფორმაცია დაადასტურა. სატრანსფერო თანხა 8,3 მილიონი დოლარია. 28 წლის შემტევი ნახევარმცველი საბერძნეთში შარშან „პორტუდან" გადავიდა, თუმცა გუნდის მთავარ მწვრთნელ ალბერტო ბიგონთან უთანხმოების გამო, ბოლო ხანს ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდებოდა. „ოლიმპიაკოსმა" შარშან ზაჰოვიჩის სანაცვლოდ 16 მილიონი დოლარი გადაიხადა, ახლა კი მხოლოდ თანხის ნახევარი აინაზღაურა.

**ბრაზილიელი ჟუნინიოს აგენტმა დაადასტურა, რომ ფეხბურთელს „ასტონ ვილაში" იწვევენ. „ბირმინგემელები მადრიდულ კლუბთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. არ არის გამორიცხული, შეთანხმებას რამდენიმე დღეში მიაღწიონ" — განაცხადა აგენტმა. „ადრეც ვამბობდი, რომ „ატლეტიკოში" ბედნიერი ვარ, თუმცა ახლა გავიგე, რომ ჯონ გრეგორის ჩემი შეძენა სურს. ვიმედოვნებ, ჩემი ტრანსფერი უახლოეს მომავალში გადაწყდება" — თქვა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა.**

**იტალიური** სააგენტოს ცნობით, „ინტერმა" „რეალის" არგენტინელი ნახევარმცველის, ფერნანდო რედონდოს ყიდვა განიზრახა და მზადაა, მადრიდელებს 13,5 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. რედონდოს „სამეფო კლუბთან" კონტრაქტი 2003 წელს უსრულდება, თუმცა ფეხბურთელსა და „რეალის" ხელმძღვანელებს მილანელთა ახალ შეთავაზებაზე არაფერი განუცხადებიათ. რედონდო „რეალის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, მადრიდულ კლუბში მან ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი.

**იტალიის სერია A-ში ახალგადასულმა „ნაპოლიმ" ჩეხი ფეხბურთელი მარეკ იანკულოვსკი შეიძინა. სააგენტოების ცნობით, ნეაპოლურმა კლუბმა „ბანიკს" საკომპენსაციოდ 1,3 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ფეხბურთელმა ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზეც ითამაშა და მაშინ ბევრი კლუბის ყურადღება მიიპყრო. იანკულოვსკის ხელში ჩაგდება საბოლოოდ „ნაპოლიმ" მოახერხა. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.**

**ინგლისური** „მიდლსბროს" თავკაცმა ბრაიან რობსონმა განაცხადა, რომ „ლივერპულის" ფორვარდის, რობი ფაულერის შეძენა სურს. არ გამორიცხავენ, რომ ფაულერი „ლივერპულს" „მიდლსბრომ" კრისტიან ციგეში გაუცვალოს. ლივერპულელთა თავკაცმა ჟერარ ულიემ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელს უკვე კარგა ხანია, თვალი დაადგა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, ბრაიან რობსონის განცხადებით, მათთვის „ლივერპულს" ამ წინადადებით არ მიუმართავს.

**ნიგერიელი ფორვარდი ნვანკვო კანუ „არსენალს" სეზონის დასაწყისში ალბათ ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა ოლიმპიადაზე თამაში გადაწყვიტა. ცნობილია, რომ ოლიმპიურ ნაკრებში 23 წელს გადაცილებული სამი ფეხბურთელის თამაშია ნებადართული. ერთ-ერთი მათგანი ნიგერიის ნაკრებში სწორედ კანუ იქნება. ფორვარდი „არსენალში" ალბათ ჩემპიონთა ლიგის პირველ სამ ტურს გამოტოვებს.**

**ინგლისის** პრემიერლიგაში ახალგადასულმა „ჩარლტონმა" „ბოლტონიდან" დანიელი ნახევარმცველი კლაუს იენსენი გადაიყვანა. სააგენტოების ცნობით, სატრანსფერო თანხა 4 მილიონი გირვანქაა. იმასაც იუწყებიან, რომ „ჩარლტონი" ამაზე არ შეჩერდება და ახალი სეზონის დაწყებამდე ერთ-ორ ფეხბურთელს კიდევ დაიმატებს. „რამდენიმე კლუბთან ერთდროულად ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, გვსურს, სეზონს განახლებული ძალებით შევხვდეთ" — განაცხადა კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

**ბელგიელ ფორვარდ ემილ მპენზას „შალკე", ალბათ, არ გაუშვებს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის შეძენის სურვილი ცოტა ხნის წინ გლაზგოს „რეინჯერსმა" გამოთქვა და თანახმა იყო 10 მილიონი დოლარი გადაეხადა. „ემილის ტრანსფერი ალბათ არ შედგება" — განაცხადა გელზენკირხენული გუნდის კომერციულმა მენეჯერმა. 22 წლის ფეხბურთელი „შალკეში" ლიეჟის „სტანდარდიდან" გადავიდა, მისით ცოტა ხნის წინ „ბორდოც" დაინტერესდა.**

**ფრანგულმა** „რენმა" 18 წლის მცველი იურე პრიმორაცი მეორედივიზიონელი „კანიდან" შეიძინა. იურე ბორო პრიმორაცის ვაჟია, ეს სპეციალისტი ამჟამად „არსენალში" მუშაობს და არსენ ვენგერს ეხმარება. ფრანგული სააგენტოების ცნობით, „რენმა" „კანს" იურე პრიმორაცის სანაცვლოდ 1,4 მილიონი დოლარი გადაუხადა.

**ესპანეთის ჩემპიონმა „დეპორტივომ" ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი „ტენერიფესგან" შეიძინა და კანარის კუნძულელებს მის სანაცვლოდ 8,3 მილიონი დოლარი გადაუხადა. „მიდლსბროს" ყოფილმა ფეხბურთელმა გალისიურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „დიდებულ კლუბში ჩავირიცხე, მიხარია, მსურს, „დეპორტივოს" ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო და გუნდთან ერთად წარმატებებს მივაღწიო" — განაცხადა ბრაზილიელმა.**

**გერმანული** ჟურნალის „შპორტ ბილდის" ცნობით, ბუნდესლიგაში ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი შტეფან ეფენბერგია. მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი წელიწადში 4 მილიონ ევროს იღებს. მეორე ადგილზე ანდრეას მიოლერია, მისი ხელფასი 3,3 მილიონი ევროა. ამ მაჩვენებლით მესამე პოზიციაზე ლეგიონერები არიან — „შტუტგარტის" ბულგარელი ნახევარმცველი კრასიმირ ბალაკოვი და „ბაიერნის" ბრაზილიელი ფორვარდი ჯოვანი ელბერი 3,25 მილიონ ევროს გამოიმუშავებენ.

**იტალიური სააგენტოს ცნობით, „ლაციომ" ჰოლანდიელი ნახევარმცველი ბუდევინ ზენდენი შეიძინა და „ბარსელონას" სანაცვლოდ 12 მილიონი დოლარი გადაუხადა. 23 წლის ფეხბურთელი რომში მომავალ კვირაში ჩავა და ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ზენდენი „ბარსელონაში" 1998 წელს პსვ-დან გადავიდა. იგი კატალონიაში მისმა თანამემამულე მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა ჩაიყვანა. რომაულ კლუბში კიდევ ერთი სიახლეა, ვეტერანი რობერტო მანჩინი ოფიციალურად დაინიშნა მთავარი მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის თანაშემწედ.**

**თურქი** ნახევარმცველი ემრე, შესაძლოა, „ფიორენტინაში" გადაბარგდეს. ფეხბურთელის ფლორენციაში გადაყვანა მის თვისტომ ფათიჰ თერიმს სურს, რომელიც ამჟამად „ფიორენტინას" თავკაცობს. „თერიმს ემრეს ჩამოყვანა სურს და ყველა ღონეს ვიხმართ მის მხარდასაჭერად. ემრე 20 წლისაა და ერთობ ნიჭიერი ფეხბურთელია. „გალათასარაის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს უახლოეს მომავალში დავიწყებთ" — განაცხადა „ფიორენტინას" გენერალურმა მენეჯერმა ჯანკარლო ანტონიონიმ.

**ბრაზილიაში დაბადებული ბელგიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ლუის ოლივეირა „ბოლონიაში" გადის სამედიცინო შემოწმებას. თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, 31 წლის ფეხბურთელი დღეს ამ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ყოფილ კლუბ „კალიარისგან" განსხვავებით, ისევ სერია A-ში ითამაშებს.**

# გამოიცან, რომელია?



ვითომ რივალდო?

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი აცხადებს, რომ „ბარსელონას" ბრაზილიელი ვარსკვლავის, რივალდოს შეძენითაა დაინტერესებული, მაგრამ ამ ტრანსფერის ბედი ძალიანაა დამოკიდებული პორტუგალიელი ლუიშ ფიგუს იმავ „ბარსელონადან" მადრიდის „რეალში" გადასვლაზე.

გალიანიმ ისიც დასძინა, რომ ხელმეორედ სცადა „მანჩესტერ იუნაიტედთან" დევიდ ბექჰემის თაობაზე სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ გალიანი ბექჰემის შესახებ ამბობდა, ერთი კი ვცადეთ, მაგრამ ისეთი უარი მივიღეთ, რომ ფაქტია, ამ ფეხბურთელს ახლა ვერ შევიძენთო. ეტყობა, „მილანის" დირექტორატს მაინც ულვივოდა მცირე იმედი.

ამასობაში კი კლუბის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ბუნდოვანი და ცნობისმოყვარეობის ერთობ აღმძვრელი რამ ბრძანა: „ჩვენ მსოფლიოს ხუთი საუკეთესო ფეხბურთელიდან ერთს მაინც ვიყიდით".

ვის იგულისხმა იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა? რივალდო, ბექჰემი... კიდევ? ფიგუს იმედიც ჰქონდა? ზიდანისაც?

„ჩვენ მანჩესტერელთა სურვილს პატივს ვცემთ, მათ კი ბექჰემის გაყიდვა არ უნდათ" — თქვა გალიანიმ „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ერთი სიტყვით, „შავ-წითელ" დიდმოხელეთა ბანაკი დღეს ვარსკვლავთა სახელების ბრუნვითაა გართული, მათი კონკურენტები, „ლაციო", „რომა" და, თუ ტრეზეგესაც პირველხარისხოვან ვარსკვლავად ჩავთვლით, „იუვენტუსიც" — ყიდვით. სწორედ ეს აღიზიანებთ მილანელ ქომაგებს.

„ვაღიარებ, მსოფლიოს რომელიმე საუკეთესო ფეხბურთელის ყიდვა დღითიდღე ძნელდება" — ხელები გაშალა გალიანიმ — „საშუალო სიდიდის მოთამაშეთა ყიდვას კი, მომიტევეთ და, აზრი არ აქვს".

აბა, ხუთიდან ერთიო? და ის ხუთი ვინლაა?



ვისენტე დელ ბოსკე

# რეალის მწვრთნელი ავტობუსის გაჩერებაზე

ვისენტე დელ ბოსკე მადრიდის „რეალში" მიღწეული წარმატებებისთვის ესპანური ქალაქის, სალამანკას მერიამ საგანგებოდ მიიპატიჟა, რათა მას საპატიო წიგნში ჩაეწერა: „საუკეთესო სურვილებით და სალამანკას მომავალი განვითარების რწმენით. ვისენტე დელ ბოსკე".

ქალაქის მერმა ალფონსო ფერნანდეს მანუეკომ მადრიდელთა თავკაცს ასეთი პატივი უპირველეს ყოვლისა იმიტომ დასდო, რომ იგი სალამანკელია. ამიტომაც განაცხადა დელ ბოსკემ:

„სალამანკელთაგან ასეთი პატივი იშვიათს ხვდება და მე ვამაყობ, რომ ერთი მათგანი შევიქენი".

ვინაიდან ევრო 2000-ის შთაბეჭდილებანი ჯერ კიდევ ცოცხალია, „რეალის" მწვრთნელს თანაქალაქელებმა ესპანეთის ნაკრებზეც ჰკითხეს:

„პირველ და მეორე შეხვედრებში მართლაც გაჩნდა რაღაც ეჭვები ჩვენი გუნდის სიძლიერის გამო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გამოსწორდა და ნაკრებმა საკმაოდ კარგად ითამაშა" — უპასუხა 2000 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელმა.

მალე, 30 ივლისს ვისენტე დელ ბოსკე კიდევ ერთ აღიარებას ელის. მადრიდის „რეალის" ერთ-ერთი ფანკლუბი სახელწოდებით „ავტობუსის გაჩერება" მას საპატიო წევრად ირჩევს. ცერემონიალში ესპანეთის დედაქალაქის სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მიიღებენ მონაწილეობას.

# შეხვედრის ადგილი შეუცვლელია, დრო — ცნობილი

„ტოიოტას თასის" თარიღი ცნობილია — 28 ნოემბერს, ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ მადრიდის „რეალი" და ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსი" წარსდგებიან. პირველი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია, მეორე სამხრეთ ამერიკის „კოპა ლიბერტადორესის". მათ შორის გამარჯვებული „ტოიოტას" ანუ იგივე საკონტინენტთაშორისო თასით დაჯილდოვდება.

თარიღის შეთანხმებაში სამი მხარე მონაწილეობდა: უეფა, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია და მასპინძელი, იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია.

მოგეხსენებათ, 25 აგვისტოს მონაკოში მადრიდელებს სტამბოლის „გალათასარაისთანაც" აქვთ სათამაშო. ეს ევროპის ჩემპიონთა და უეფას თასების მფლობელთა ტრადიციული შეხვედრა იქნება კონტინენტის სუპერთასის მოსაპოვებლად.

ამრიგად, ესპანელებს საკონტინენტთაშორისო თასის დასაკუთრება მესამედ შეუძლიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბოკა ხუნიორსის" ძლევის შემთხვევაში, ისინი გაუტოლდებიან ამ ჯილდოს სამგზის მფლობელ ორ გუნდს, ევროპულ „მილანსა" და სამხრეთ ამერიკულ „ნასიონალს" ურუგვაიდან.

მადრიდელთა პირველი გამარჯვება 40 წლის წინანდელია. მაშინ 1960 წელს „სამეფო გუნდმა" ასევე ურუგვაული, ასევე მონტევიდეოს „პენიაროლი" დაამარცხა. ოკეანის გაღმა მეტოქეთა შეხვედრა 0:0 დასრულდა, ესპანეთის დედაქალაქში კი „რეალმა" იმალა 5:1.

მეორედ, 1998 წლის 1 დეკემბერს „რეალმა" ბრაზილიურ „ვასკუ და გამას" აჯობა. ის შეხვედრაც ტოკიოს „ეროვნულზე" გაიმართა და ანგარიში 2:1 გახლდათ. თამაშის ბედი საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე რაულის დრიბლინგმა და დარტყმამ გადაწყვიტა.

საკონტინენტთაშორისო თასი არც ბუენოს აირესელთათვის გახლავთ უცხო. „ბოკა" მას 1977 წელს ფლობდა, როდესაც გერმანულ მიონხენგლადბახის „ბორუსიას" აჯობა, ოღონდ იმ წელიწადს „ბორუსია" ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი არ გახლდათ, დამარცხებული ფინალისტი იყო. თასის მფლობელმა, ინგლისურმა „ლივერპულმა" მაშინ არგენტინაში გადაფრენასა და შემდეგ მეტოქის მასპინძლობაზე უარი განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის და სამხრეთ ამერიკის „ჩემპიონთა" დაპირისპირებამ მოწესრიგებული სახე მას მერე მიიღო, რაც მისი სპონსორი იაპონური კონცერნი „ტოიოტა" გახდა. მას მერე თასის მფლობელის გამოსავლენად ერთი მატჩი, ნეიტრალურ ტოკიოში იმართება.

# აბა, სიმონესაც ჰკითხეთ...

იტალიის ჩემპიონი „ლაციო" ბოლო დროს თავდამსხმელების ძვირად და ხმაურით ყიდვამ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების საგანგებო ყურადღების ცენტრში მოაქცია. რომაელებმა არგენტინელი ფორვარდები, ერნან კრესპო და კლაუდიო ლოპესი შეიძინეს და, როგორც აჟიოტაჟს აყოლილნი ფიქრობენ, დღეს საუკეთესო შემადგენლობა ჰყავთ. ბუნებრივია, რომ ამ ფონზე გუნდის ძველი მოთამაშე, გასულ სეზონში 19 გოლის ავტორი სიმონე ინძაგი მეორე პლანზე გადავიდა, მაგრამ „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ფორვარდის, ფილიპო ინძაგის ძმა იოლად დათმობას არ აპირებს.

„დიახ, გუნდში ასეთი ვარსკვლავების ყოლა დიდი უპირატესობაა, მაგრამ მოდით, იმ ხალხს ნუ დავივიწყებთ, ვინც სკუდეტო მოიგო" — ამბობს თავდამსხმელი — „ახლა რომელიმე დიდი შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირობას ვგეგმავ. გასულ სეზონში ხომ ჩემპიონთა ლიგაში რივალდოს შემდეგ მეორე ვიყავი".

# ვიერი იუვენტუსში დაბრუნდა



მაქს ვიერი

მართალია ტურინულმა კლუბმა თავდამსხმელი დაიბრუნა, მაგრამ საეჭვოა ამ სეზონში მისი სრულყოფილად გამოყენება შეძლოს. საქმე ის არის, რომ ვიერის სავალდებულო სამხედრო სამსახურის დრო დაუდგა და დროის დიდი ნაწილის გატარება რომში მოუწევს. ამის მიუხედავად, ის ბედნიერია, „ბებერ ქალბატონს" ეთაყვანება და ამბობს:

„გამახსენდება, ოფიციალურად „იუვენტუსის" ფეხბურთელი რომ ვარ და ვიამაყებ".

თავის მხრივ ტურინელებიც სწორედ მოიქცნენ, ნიჭიერი ახალგაზრდა რომ დაიბრუნეს. გასულ სეზონში სერია C-ს „ბრეშელოში" გასესხებულმა 14 გოლი გაიტანა და გუნდი კინაღამ სერია B-ში დააბრუნა.

მისი კერპი მარკო ვან ბასტენია, მაგრამ სწავლით ყველაფერს უფროსი ძმისგან სწავლობს: „მე და კრისტიანი ტელეფონით ყოველდღე ვსაუბრობთ" — ამბობს მაქსი — „ის ძალიან ბევრ რჩევას მაძლევს და რაც მთავარია, ბედთან შეურიგებლობას მასწავლის. ყველაზე მეტად მისი ღონისა მშურს. თუ კრისტიანი ფორმაშია, მას ვერავინ შეედრება. ვცდილობ ძმისგან ბევრი რამ გადავიღო და ვატყობ, რომ პროგრესიც მაქვს. კიდევ, მისგან მარცხენა ფეხით დარტყმა უნდა ვისწავლო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრისტიანის ასლად ქცევა მაქვს გადაწყვეტილი. მე ჩემი გზა უნდა განვვლო და ვიცი ეს გზა გრძელი იქნება".

21 წლის მაქს ვიერი აღნაგობითა და საუბრის მანერით ძალიან ჰგავს უფროს ძმას, მაგრამ ამპლუით, როგორც თავად ამბობს, უფრო მეორე თავდამსხმელია, ვიდრე ცენტრფორვარდი.

# ცუდი ტონი

„საფეხბურთო კლუბ „არსენალს" ესაჭიროება კვალიფიციური ცენტრალური მცველი. მსურველებმა მოგვაკითხეთ „ჰაიბერიზე". იკითხეთ არსენი".

ასეთი განცხადება ბუნებაში, ცხადია, არ არსებობს, თუმცა საქმის ვითარება მაინც არ იცვლება: ჩემპიონთა ლიგის მონაწილე „არსენალი", უფრო სწორად, მისი ფრანგი მწვრთნელი ტონი ადამსის შემცვლელს ეძებს და თანაც სასწრაფოდ — 1 სექტემბერს უეფაში განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა.

დიახ, 33 წლისაა ადამსი. ორი ამდენი ტრავმა კი ჰქონია, მაგრამ ოც ამდენჯერ გასულა მოედანზე „არსენალის" მაისურათი და ვერავინ იტყვის, ერთხელ მაინც დაზოგა თავიო. ადრე ასეთ ხალხს ინგლისში უკადრისად ვინ მოიხსენიებდა, მაგრამ დრო შეიცვალა, ახლა პრემიერლიგაში მზა ზანზიბარელის ყიდვაა მოდაში.

„მან შესაძლოა ნებისმიერ მომენტში დაამთავროს კარიერა. შარშან საზარდულის ორმაგი ოპერაცია დასჭირდა, ზურგის პრობლემა ყოველთვის ჰქონდა, ევრო 2000-ზე კი, პორტუგალიასთან, ქუსლიც დაიზიანა და ჩემპიონატს გამოეთიშა. არა მგონია, ზედიზედ სამი თამაშის ჩატარება შეძლოს. მასზე დაყრდნობა აღარ შეიძლება" — ასეთია ვენგერის ვერდიქტი.

ადამსი კი ალკოჰოლიზმისგან განკურნებას (შესაბამისად, ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს ერიდება) და მშობლიურ კლუბთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს — მიმდინარეს ვადა ათ თვეში გასდის. პორტუგალიასთან ბედნავსი მატჩის მერე ნაკრების ახალ კაპიტანს სამხრეთ საფრანგეთში დაუსვენია და ახალი სეზონისთვის ჩვეულად ემზადება, მაგრამ...

შავი მოთამაშეები უფრო გამოსადეგნი არიანო — ესაც უთქვამს ვენგერს. მართალია, ფიზიკურად მყოფ ბრიტანულ მედიას უმალ შეუხსენებია ფრანგისთვის, რასიზმი ოდენ შავთა ლანძღვა რომ არაა და კარგ ტონად არც თეთრების დაკნინება ჩაითვლება, მაგრამ მწვრთნელი ეგაა და სიტყვით თუ ვეღარ, საქმით აისრულებს მიზანს.

ტონი კი... ვერ გაშავდების ადამსიო, ალბათ, სათქმელად ესღა დარჩა.



ნუთუ სვენ გორან ერიქსონი (მარცხნივ) სიმონე ინძაგის ვეღარ ამჩნევს?



1999 წლის 23 მაისი. ანდრეს გულიელმინპიეტრო (მარცხნივ) და ოლივერ ბირჰოფი „მილანის“ ჩემპიონობას ზეიმობენ

# გულის ძგერა სეზონის წინ

*არგენტინელი ანდრეს გულიელმინპიეტრო, რომელსაც ევროპაში, გასაგებ მიზეზთა გამო, გულის უწოდებენ, მესამე წელიწადია „მილანში“ თამაშობს, მაგრამ როგორც ირკვევა, სტაჟი იოლი სეზონისწინა შეკრების გარანტია სულაც არ ყოფილა.*

**— ანდრეს, რაღაც დაღლილი ჩანხართ. ხომ არ გვეტყოდით რატომ?**

— რა დასამალია, ძალიან ინტენსიურად ვვარჯიშობთ. არ შემიძლია სხვანაირად, სეზონი რომ დაიწყება ყოველმხრივ მზად უნდა ვიყო.

**— მაშ ის გვითხარით, მოსამზადებელი პერიოდით თუ ხართ კმაყოფილი.**

— ყოველდღე უკეთესობას ვამჩნევ. თავი დავანებოთ ფიზიკურ მომზადებას, რომელიც, აშკარაა, მთელ გუნდს საჭირო დროს მოთხოვნის შესაბამისი ექნება. ამას გარდაც ჩინებულად ვმუშაობთ და უკვე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში გასულ სეზონთან შედარებით უკეთ ვითამაშებთ. თვალსაჩინო სურათს გვიხატავს ამ დღეებში გამართული ამხანაგური მატჩებიც. იცით, ახლა რომ ბრწყინვალედ ვთამაშობდეთ, მერე იქნებოდა საშიში, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი დროის შესაბამისად მიდის და დღევანდელი საჩოთირო შედეგებიც ამიტომ არ გახლავთ საეჭვო.

**— ბოლო ორ ამხანაგურ შეხვედრაში მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ ნახევარდაცვის შუაში გამოგცადათ. ამ პოზიციაზე ადრე არასდროს მოგისინჯავთ ძალა. როგორ ფიქრობთ, ამპლუას გამოიცვლით?**

— ძაკერონიმ მხოლოდ და მხოლოდ გამომცადა, რაც სულ არ ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან ცენტრალური ნახევარმცველი ვიქნები. მწვრთნელი ექსპერიმენტებს ატარებს, თუმცა, ცხადია, ჩემთვის ამპლუის შეცვლა რომ გადაწყვიტოს, დავემორჩილები და რასაც მეტყვის, იმას გავაკეთებ.

**— მოსამზადებელ პერიოდზე კი ვსაუბრობთ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებამდე სულ სამი კვირაა დარჩენილი...**

— მთელი გუნდი მოუთმენლად ველით ლიგის თამაშებს. შესარჩევი ეტაპი რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა დავძლიოთ და შეჯიბრების ძირითად ნაწილში მივიღოთ მონაწილეობა. აკი უკვე მოგახსენეთ, საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება.

**— და მერე?**

— ეჭვი არაა, გასულ სეზონზე დიდი ბრძოლები გადაგვხდება თავს, რადგან უძლიერესმა გუნდებმა შემადგენლობები კიდევ უფრო გაიძლიერეს. ჩვენ კი, ფაქტობრივად ძველი ხალხი დავრჩით, რაც იმას ნიშნავს, რომ გასულ წელს მიღებული გამოცდილებით უკეთ ვითამაშებთ. ზუსტად ვიცით, რა გვაკლია და რა გვეხერხება.

**— მას მერე, რაც ერნან კრესპო და კლაუდიო ლოპესი იყიდა, „ლაციო“ არგენტინელთა მშობლიურ გუნდს დაემსგავსა. თქვენ, როგორც არგენტინელი, რას ფიქრობთ, შეიძლება რომაელთა დამარცხება?**

— თავდასხმა მართლაც არგენტინული გამოუვიდათ. ამას დაამატეთ ფორვარდებს უკან მოთამაშე ხუან ვერონი და შეტევის სისტემას სულ მთლად არგენტინულს მიიღებთ. ეს ძალიან შთამბეჭდავია, მაგრამ არა მგონია „მილანში“ ნაკლები თავდამსხმელები გვყავდეს. ანდრეი შევჩენკო, მოგეხსენებათ, გასულ სეზონში სერია A-ს საუკეთესო თავდამსხმელი გახლდათ, ოლივერ ბირჰოფს კი დიდი წარდგენა არ სჭირდება. ახლა, თუ გნებავთ, სხვა გუნდებს გადავხედოთ. „რომას“ გაბრიელ ბატისტუტა შეემატა, „იუვენტუსს“ დავიდ ტრეზეგე...

**— იტალიაში გადმოსულ უცხოელებს შორის, თქვენი აზრით, ყველაზე ძლიერი ვინ არის?**

— ყოყმანის გარეშე მოგახსენებთ, კლაუდიო ლოპესი. მისი გამოცდილების მოთამაშეს ადაპტაციისთვის დიდი დრო არ დაჭირდება.

**— და ბოლოს, ვინ გახდება 2000-01 წლების სეზონში იტალიის ჩემპიონი?**

— „იუვენტუსი“. სხვისი დასახელება კარგად მაქვს დაცდილი.

**თარგმნა ბაკუნა ძედიამ**

ევრო 2000

სარბიელის თერთმეტი რჩეული

# თავდაჯერებული ჯადოქარი

**ზინედინ ზიდანი**

*საფრანგეთი*

*დაიბადა: 1972 წლის 23 ივნისს მარსელში (საფრანგეთი)*

*კლუბი: იუვენტუსი (იტალია)*

*ამპლუა: ნახევარმცველი*

*სიმაღლე: 185 სმ*

*წონა: 78 კგ*

*კარიერა: კანი (საფრანგეთი), ბორდო (საფრანგეთი), იუვენტუსი (იტალია)*

*საფრანგეთის ნაკრებში: 59 მატჩი, 15 გოლი*

**ზინედინ ზიდანი.** ვინ არის იგი? ჩემი აზრით, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. ზიდანის დაყენება თამამად შეიძლება ისეთი გრანდების გვერდით, როგორებიც არიან პელე, დი სტეფანო, ბეკენბაუერი, კრუიფი, მარადონა და პლატინი. შეიძლება ამაში ვინმე არ დამეთანხმოს და ამიტომაც ვიწყებ ჩემი სიტყვების დამტკიცებას, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად. მაშ, ასე...

**ნაწილი პირველი** — ზიდანი, როგორც საკლუბო ფეხბურთელი. ზიზუ მარსელში დაიბადა ალჟირიდან გადმოსახლებული კაბილების ოჯახში. ფეხბურთის სიყვარულიც ამ ქალაქში ეწვია და პატარაობიდანვე კანის საფეხბურთო სკოლაში ჩაირიცხა, რომელიც მთელს საფრანგეთშია სახელგანთქმული. „მარსელის“ თავკაცებმა თავიდან ზიდანს ყურადღება არ მიაქციეს და მერე მწარედაც ინანეს. ზინედინის კარიერა „კანში“ დაიწყო 1988 წელს საფრანგეთის პირველ დივიზიონში. მომავალ წელს შედგა მისი დებიუტი ნანტში (1:1). „კანში“ ზიდანი პერსპექტიული ახალგაზრდა იყო, რომლისაც ყველას არ სჯეროდა. მისი შესაძლებლობები ყველაზე ადრე „ბორდოს“ თავკაცებმა შეაფასეს სათანადოდ და 1992 წელს თავისთან გადაიყვანეს. სწორედ იქ დაიწყო ზიდანის დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბება. მალე იგი გუნდის ლიდერი გახდა და 1996 წელს „ბორდოს“ უეფას თასის ფინალში გასვლაც ყველაზე მეტად მისი დამსახურებაა.

საკმაოდ ნელი ზიდანი ბრწყინვალე ტექნიკას ფლობდა და მეტოქის მცველებს მუდმივად თავსატეხს უჩენდა. აშკარა იყო, რომ მას ევროპული ფეხბურთის გრანდები დიდი ხნით არ გააჩერებდნენ „ბორდოში“ და ასეც მოხდა. უეფას თასის ფინალში „ბაიერნთან“ წაგების შემდეგ ზიზუ ტურინის „იუვენტუსმა“ შეიძინა და მანაც ამ იტალიური გუნდის ქომაგებს ლამის დაავიწყა მეორე უდიდესი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი. ზიდანი „იუვეს“ დირიჟორი გახდა. თანაც იქაურმა ქანცისგამწყვეტმა ვარჯიშებმა მის ფიზიკურ მომზადებაზე მშვენივრად იმოქმედა. ფრანგი კალჩიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია დღესაც.

**ნაწილი მეორე** — ზიდანი, ნაკრების შეუცვლელი ლიდერი. „ზიდანი, როცა თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 50 პროცენტს ავლენს, მაინც ყოველთვის მირჩევნია ვინმე სხვას, ვინც 100 პროცენტითაა გახსნილი“ — თქვა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის დროს ჩეხეთთან ნახევარფინალში წაგების შემდეგ ფრანგთა თავკაცმა ემე ჟაკემ. ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში მისი მემკვიდრე როჟე ლემერიც დარწმუნებულია. „როცა ზიდანს ბურთი აქვს, იგი ჯადოქარს ემსგავსება. ზინედინი უეჭველად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. მას ყველაზე უკეთ ეხერხება მოწინააღმდეგის გზიდან ჩამოშორება, უზადო და უზუსტესი პასები, თამაშის ტემპის და მიმართულების შეცვლა. თანაც, ჯადოსნობის გარდა ეს ბიჭი საკმაოდ თავდაჯერებულიცაა, იგი ფსიქოლოგიურადაც ძალიან ძლიერია. პორტუგალიასთან გატანილი პენალტი გაიხსენეთ. ისეთი დაძაბული სიტუაცია იყო, მან კი როგორ აუღელვებლად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა“ — მოკლედ, ასე ახასიათებს ბატონი ლემერი თავის საუკეთესო „ლურჯს“.

ძნელია, შეედავო საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს, მიუხედავად იმისა, რომ ევრო 2000-ის ფინალში ზიდანი საუკეთესო ნამდვილად არ იყო. მაგრამ მას ერთი ჟესტით, ერთი გადაცემით შეუძლია გაანათოს მთელი შეხვედრა და მატჩის ბედიც თავისი გუნდის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. იგი მუდმივად საჭიროა მინდორზე, რადგან მისი იქ ყოფნა მოწინააღმდეგესთვის დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთია.

ფინალამდე კი ზიდანი შეუდარებელი იყო. გნებავთ ჯგუფის თამაშებში და გნებავთ მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში. მისი ფინტების შემხედვარე სხვა ფრანგებსაც გაუჩნდათ იგივეს გაკეთების სურვილი და რამდენჯერმე ბურთზე დატრიალება ზიზუს თანაგუნდელთა შესრულებითაც ვნახეთ.

თუ წლევანდელ ფინალში ვერ წარმოჩინდა მთელი თავისი სიძლიერით, სამაგიეროდ, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაიხსენეთ. ზიდანის ორმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც ოქროს მედლების ბედი.

ახლა საფრანგეთში ხშირად გაიგონებთ, ზიდანმა ხალხის გულებში პლატინი შეცვალაო. ამ ორ გენიალურ ფეხბურთელს ხშირად ადარებენ ერთმანეთს და ბოლო დროს უპირატესობა ზიდანს მიანიჭეს. „რასაც ზიდანი ბურთით აკეთებს, მარადონა ფორთოხლით აკეთებდა“ — თქვა პლატინიმ, რომელიც საუკეთესო ფრანგი ფეხბურთელის სახელთან დამშვიდობებას ვერ ეგუება. ჩემი აზრით, ჯერჯერობით ზიდანს პლატინამდე ცოტა კიდევ უკლია, მაგრამ მას დრო საკმაოდ აქვს ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად და იქნებ შეძლოს კიდეც. პლატინის ნაკრებშიც და „იუვენტუსშიც“ ზიზუზე გაცილებით მეტი გოლი გაჰქონდა, მაგრამ ეს მათი თამაშის სტილის განსხვავების გამო. თუმცა ზინედინი კლუბისთვისაც და ნაკრებისთვისაც იგივე დონის ლიდერია, როგორიც პლატინი იყო.

„ისინი ორივენი გენიალურები, თავიანთი დროის საუკეთესო ფეხბურთელები არიან“ — ამბობს ნაკრებში პლატინის კოლეგა ლუის ფერნანდესი.

**ნაწილი მესამე** — ზიდანი, უზადო ტექნიკის მფლობელი ფეხბურთელი. ზიდანის შოუ მინდორზე თვალწარმტაცი სანახავია. როცა იგი ბურთს იღებს, ხშირად ორი მეტოქე მეურვეობს. ბურთის შესანიშნავად დამუშავებისას ერთ მათგანს მყის მშრალზე ტოვებს. შემდეგ ფინტი მარცხნივ ან მარჯვნივ, გააჩნია საით სურს თამაშის გაგრძელება და მეორე მეურვეც ჩამოშორებულია. რა თქმა უნდა, ამის გარდაც ზიდანი ბევრ მშვენიერ რამეს სჩადის, მაგრამ თამაშის ეს ფაზა იმდენად ბრწყინვალედ გამოსდის... ნაკრებში მის მიერ გატანილი ერთი გოლი მახსენდება. მსოფლიოს ჩემპიონატის მზადებისას საფრანგეთი მარსელში ნორვეგიას ეთამაშებოდა ამხანაგურად, მატჩი 2:2 დამთავრდა. ერთ მომენტში ზიდანს საჯარიმოში მიაწოდეს პასი. ბურთის მიწაზე დაუშვებლად, ერთი შეხებით მან ნორვეგიელთა მცველი ზურგს უკან მოიტოვა, მეორე შეხებით კი მეკარესაც აჯობა. ისეთი ლამაზი გოლი იყო, დღესაც თვალწინ მიდგას.

1998 წელს იტალიასთან მეოთხედფინალის წინ ჟაკემ განაცხადა: „ვინც ზიზუს პერსონალურად დაუდგება, წარმატების არანაირი შანსი არა აქვს“. მართალიცაა. ზიდანთან პერსონალური თამაში უაზრობაა და ამას ევრო 2000-ის ფინალის წინ დინო ძოფიც მიხვდა. მისი თამაშიდან მეტ-ნაკლები გამოთიშვის მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს. ზონური დაცვისას იძულებული უნდა გახადო, ბურთს სადღაც მოედნის შუაგულში შეელიოს. ეს ხერხიც იშვიათად ამართლებს, რადგან ზიდანს 20-25-მეტრიანი ბრწყინვალე პასებიც მშვენივრად ეხერხება, რისი მოწმენიც არაერთხელ გავმხდარვართ. თუნდაც დანიასთან თამაში ავიღოთ, როცა მისი ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ ტიერი ანრიმ ფრანგთა მეორე გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, ზინედინ ზიდანი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ამას კიდევ ბევრჯერ დაუმტკიცებს თავის კრიტიკოსებს.

**გაიოზ თალაკვაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანეთი. პრიმერადივიზიონი. 2000-2001 კალენდარი

### I ტური 10 სექტემბერი
ოსასუნა — სელტა
სარაგოსა — ესპანიოლი
ვილიარეალი — რაიო ვალეკანო
ლას პალმასი — ალავესი
ნუმანსია — ოვიედო
მალიორკა — ვალიადოლიდი
რეალი — ვალენსია
ბარსელონა — მალაგა
დეპორტივო — ბილბაო
სოსიედადი — რასინგი

### II ტური 17 სექტემბერი
სელტა — სოსიედადი
ესპანიოლი — ოსასუნა
რაიო ვალეკანო — სარაგოსა
ალავესი — ვილიარეალი
ოვიედო — ლას პალმასი
ვალიადოლიდი — ნუმანსია
ვალენსია — მალიორკა
მალაგა — რეალი
ბილბაო — ბარსელონა
რასინგი — დეპორტივო

### III ტური 24 სექტემბერი
სელტა — ესპანიოლი
ოსასუნა — რაიო ვალეკანო
სარაგოსა — ალავესი
ვილიარეალი — ოვიედო
ლას პალმასი — ვალიადოლიდი
ნუმანსია — ვალენსია
მალიორკა — მალაგა
რეალი — ბილბაო
ბარსელონა — რასინგი
სოსიედადი — დეპორტივო

### IV ტური 1 ოქტომბერი
ესპანიოლი — სოსიედადი
რაიო ვალეკანო — სელტა
ალავესი — ოსასუნა
ოვიედო — სარაგოსა
ვალიადოლიდი — ვილიარეალი
ვალენსია — ლას პალმასი
მალაგა — ნუმანსია
ბილბაო — მალიორკა
რასინგი — რეალი
დეპორტივო — ბარსელონა

### V ტური 15 ოქტომბერი
ესპანიოლი — რაიო ვალეკანო
სელტა — ალავესი
ოსასუნა — ოვიედო
სარაგოსა — ვალიადოლიდი
ვილიარეალი — ვალენსია
ლას პალმასი — მალაგა
ნუმანსია — ბილბაო
მალიორკა — რასინგი
რეალი — დეპორტივო
სოსიედადი — ბარსელონა

### VI ტური 22 ოქტომბერი
რაიო ვალეკანო — სოსიედადი
ალავესი — ესპანიოლი
ოვიედო — სელტა
ვალიადოლიდი — ოსასუნა
ვალენსია — სარაგოსა
მალაგა — ვილიარეალი
ბილბაო — ლას პალმასი
რასინგი — ნუმანსია
დეპორტივო — მალიორკა
ბარსელონა — რეალი

### VII ტური 29 ოქტომბერი
რაიო ვალეკანო — ალავესი
ესპანიოლი — ოვიედო
სელტა — ვალიადოლიდი
ოსასუნა — ვალენსია
სარაგოსა — მალაგა
ვილიარეალი — ბილბაო
ლას პალმასი — რასინგი
ნუმანსია — დეპორტივო
მალიორკა — ბარსელონა
სოსიედადი — რეალი

### VIII ტური 1 ნოემბერი
ალავესი — სოსიედადი
ოვიედო — რაიო ვალეკანო
ვალიადოლიდი — ესპანიოლი
ვალენსია — სელტა
მალაგა — ოსასუნა
ბილბაო — სარაგოსა
რასინგი — ვილიარეალი
დეპორტივო — ლას პალმასი
ბარსელონა — ნუმანსია
რეალი — მალიორკა

### IX ტური 5 ნოემბერი
ალავესი — ოვიედო
რაიო ვალეკანო — ვალიადოლიდი
ესპანიოლი — ვალენსია
სელტა — მალაგა
ოსასუნა — ბილბაო
სარაგოსა — რასინგი
ვილიარეალი — დეპორტივო
ლას პალმასი — ბარსელონა
ნუმანსია — რეალი
სოსიედადი — მალიორკა

### X ტური 12 ნოემბერი
ოვიედო — სოსიედადი
ვალიადოლიდი — ალავესი
ვალენსია — რაიო ვალეკანო
მალაგა — ესპანიოლი
ბილბაო — სელტა
რასინგი — ოსასუნა
დეპორტივო — სარაგოსა
ბარსელონა — ვილიარეალი
რეალი — ლას პალმასი
მალიორკა — ნუმანსია

### XI ტური 16 ნოემბერი
ოვიედო — ვალიადოლიდი
ალავესი — ვალენსია
რაიო ვალეკანო — მალაგა
ესპანიოლი — ბილბაო
სელტა — რასინგი
ოსასუნა — დეპორტივო
სარაგოსა — ბარსელონა
ვილიარეალი — რეალი
ლას პალმასი — მალიორკა
სოსიედადი — ნუმანსია

### XII ტური 26 ნოემბერი
ვალიადოლიდი — სოსიედადი
ვალენსია — ოვიედო
მალაგა — ალავესი
ბილბაო — რაიო ვალეკანო
რასინგი — ესპანიოლი
დეპორტივო — სელტა
ბარსელონა — ოსასუნა
რეალი — სარაგოსა
მალიორკა — ვილიარეალი
ნუმანსია — ლას პალმასი

### XIII ტური 3 დეკემბერი
ვალიადოლიდი — ვალენსია
ოვიედო — მალაგა
ალავესი — ბილბაო
რაიო ვალეკანო — რასინგი
ესპანიოლი — დეპორტივო
სელტა — ბარსელონა
ოსასუნა — რეალი
სარაგოსა — მალიორკა
ვილიარეალი — ნუმანსია
სოსიედადი — ლას პალმასი

### XIV ტური 10 დეკემბერი
ვალენსია — სოსიედადი
მალაგა — ვალიადოლიდი
ბილბაო — ოვიედო
რასინგი — ალავესი
დეპორტივო — რაიო ვალეკანო
ბარსელონა — ესპანიოლი
რეალი — სელტა
მალიორკა — ოსასუნა
ნუმანსია — სარაგოსა
ლას პალმასი — ვილიარეალი

### XV ტური 17 დეკემბერი
ვალენსია — მალაგა
ვალიადოლიდი — ბილბაო
ოვიედო — რასინგი
ალავესი — დეპორტივო
რაიო ვალეკანო — ბარსელონა
ესპანიოლი — რეალი
სელტა — მალიორკა
ოსასუნა — ნუმანსია
სარაგოსა — ლას პალმასი
სოსიედადი — ვილიარეალი

### XVI ტური 20 დეკემბერი
მალაგა — სოსიედადი
ბილბაო — ვალენსია
რასინგი — ვალიადოლიდი
დეპორტივო — ოვიედო
ბარსელონა — ალავესი
რეალი — რაიო ვალეკანო
მალიორკა — ესპანიოლი
ნუმანსია — სელტა
ლას პალმასი — ოსასუნა
ვილიარეალი — სარაგოსა

### XVII ტური 7 იანვარი
მალაგა — ბილბაო
ვალენსია — რასინგი
ვალიადოლიდი — დეპორტივო
ოვიედო — ბარსელონა
ალავესი — რეალი
რაიო ვალეკანო — მალიორკა
ესპანიოლი — ნუმანსია
სელტა — ლას პალმასი
ოსასუნა — ვილიარეალი
სოსიედადი — სარაგოსა

### XVIII ტური 14 იანვარი
სოსიედადი — ბილბაო
რასინგი — მალაგა
დეპორტივო — ვალენსია
ბარსელონა — ვალიადოლიდი
რეალი — ოვიედო
მალიორკა — ალავესი
ნუმანსია — რაიო ვალეკანო
ლას პალმასი — ესპანიოლი
ვილიარეალი — სელტა
სარაგოსა — ოსასუნა

### XIX ტური 21 იანვარი
ბილბაო — რასინგი
მალაგა — დეპორტივო
ვალენსია — ბარსელონა
ვალიადოლიდი — რეალი
ოვიედო — მალიორკა
ალავესი — ნუმანსია
რაიო ვალეკანო — ლას პალმასი
ესპანიოლი — ვილიარეალი
სელტა — სარაგოსა
ოსასუნა — სოსიედადი

### XX ტური 28 იანვარი
სელტა — ოსასუნა
ესპანიოლი — სარაგოსა
რაიო ვალეკანო — ვილიარეალი
ალავესი — ლას პალმასი
ოვიედო — ნუმანსია
ვალიადოლიდი — მალიორკა
ვალენსია — რეალი
მალაგა — ბარსელონა
ბილბაო — დეპორტივო
რასინგი — სოსიედადი

### XXI ტური 4 თებერვალი
სოსიედადი — სელტა
ოსასუნა — ესპანიოლი
სარაგოსა — რაიო ვალეკანო
ვილიარეალი — ალავესი
ლას პალმასი — ოვიედო
ნუმანსია — ვალიადოლიდი
მალიორკა — ვალენსია
რეალი — მალაგა
ბარსელონა — ბილბაო
დეპორტივო — რასინგი

### XXII ტური 11 თებერვალი
ესპანიოლი — სელტა
რაიო ვალეკანო — ოსასუნა
ალავესი — სარაგოსა
ოვიედო — ვილიარეალი
ვალიადოლიდი — ლას პალმასი
ვალენსია — ნუმანსია
მალაგა — მალიორკა
ბილბაო — რეალი
რასინგი — ბარსელონა
დეპორტივო — სოსიედადი

### XXIII ტური 18 თებერვალი
სოსიედადი — ესპანიოლი
სელტა — რაიო ვალეკანო
ოსასუნა — ალავესი
სარაგოსა — ოვიედო
ვილიარეალი — ვალიადოლიდი
ლას პალმასი — ვალენსია
ნუმანსია — მალაგა
მალიორკა — ბილბაო
რეალი — რასინგი
ბარსელონა — დეპორტივო

### XXIV ტური 25 თებერვალი
რაიო ვალეკანო — ესპანიოლი
ალავესი — სელტა
ოვიედო — ოსასუნა
ვალიადოლიდი — სარაგოსა
ვალენსია — ვილიარეალი
მალაგა — ლას პალმასი
ბილბაო — ნუმანსია
რასინგი — მალიორკა
დეპორტივო — რეალი
ბარსელონა — სოსიედადი

### XXV ტური 4 მარტი
სოსიედადი — რაიო ვალეკანო
ესპანიოლი — ალავესი
სელტა — ოვიედო
ოსასუნა — ვალიადოლიდი
სარაგოსა — ვალენსია
ვილიარეალი — მალაგა
ლას პალმასი — ბილბაო
ნუმანსია — რასინგი
მალიორკა — დეპორტივო
რეალი — ბარსელონა

### XXVI ტური 11 მარტი
ალავესი — რაიო ვალეკანო
ოვიედო — ესპანიოლი
ვალიადოლიდი — სელტა
ვალენსია — ოსასუნა
მალაგა — სარაგოსა
ბილბაო — ვილიარეალი
რასინგი — ლას პალმასი
დეპორტივო — ნუმანსია
ბარსელონა — მალიორკა
რეალი — სოსიედადი

### XXVII ტური 18 მარტი
სოსიედადი — ალავესი
რაიო ვალეკანო — ოვიედო
ესპანიოლი — ვალიადოლიდი
სელტა — ვალენსია
ოსასუნა — მალაგა
სარაგოსა — ბილბაო
ლას პალმასი — დეპორტივო
ნუმანსია — ბარსელონა
მალიორკა — რეალი
ვილიარეალი — რასინგი

### XXVIII ტური 1 აპრილი
ოვიედო — ალავესი
ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო
ვალენსია — ესპანიოლი
მალაგა — სელტა
ბილბაო — ოსასუნა
რასინგი — სარაგოსა
დეპორტივო — ვილიარეალი
ბარსელონა — ლას პალმასი
რეალი — ნუმანსია
მალიორკა — სოსიედადი

### XXIX ტური 8 აპრილი
სოსიედადი — ოვიედო
ალავესი — ვალიადოლიდი
რაიო ვალეკანო — ვალენსია
ესპანიოლი — მალაგა
სელტა — ბილბაო
ოსასუნა — რასინგი
სარაგოსა — დეპორტივო
ვილიარეალი — ბარსელონა
ლას პალმასი — რეალი
ნუმანსია — მალიორკა

### XXX ტური 15 აპრილი
ვალიადოლიდი — ოვიედო
ვალენსია — ალავესი
მალაგა — რაიო ვალეკანო
ბილბაო — ესპანიოლი
რასინგი — სელტა
დეპორტივო — ოსასუნა
ბარსელონა — სარაგოსა
რეალი — ვილიარეალი
მალიორკა — ლას პალმასი
ნუმანსია — სოსიედადი

### XXXI ტური 22 აპრილი
სოსიედადი — ვალიადოლიდი
ოვიედო — ვალენსია
ალავესი — მალაგა
რაიო ვალეკანო — ბილბაო
ესპანიოლი — რასინგი
სელტა — დეპორტივო
ოსასუნა — ბარსელონა
სარაგოსა — რეალი
ვილიარეალი — მალიორკა
ლას პალმასი — ნუმანსია

### XXXII ტური 29 აპრილი
ვალენსია — ვალიადოლიდი
მალაგა — ოვიედო
ბილბაო — ალავესი
რასინგი — რაიო ვალეკანო
დეპორტივო — ესპანიოლი
ბარსელონა — სელტა
რეალი — ოსასუნა
მალიორკა — სარაგოსა
ნუმანსია — ვილიარეალი
ლას პალმასი — სოსიედადი

### XXXIII ტური 6 მაისი
სოსიედადი — ვალენსია
ვალიადოლიდი — მალაგა
ოვიედო — ბილბაო
ალავესი — რასინგი
რაიო ვალეკანო — დეპორტივო
ესპანიოლი — ბარსელონა
სელტა — რეალი
ოსასუნა — მალიორკა
სარაგოსა — ნუმანსია
ვილიარეალი — ლას პალმასი

### XXXIV ტური 13 მაისი
მალაგა — ვალენსია
ბილბაო — ვალიადოლიდი
რასინგი — ოვიედო
დეპორტივო — ალავესი
ბარსელონა — რაიო ვალეკანო
რეალი — ესპანიოლი
მალიორკა — სელტა
ნუმანსია — ოსასუნა
ლას პალმასი — სარაგოსა
ვილიარეალი — სოსიედადი

### XXXV ტური 20 მაისი
სოსიედადი — მალაგა
ვალენსია — ბილბაო
ვალიადოლიდი — რასინგი
ოვიედო — დეპორტივო
ალავესი — ბარსელონა
რაიო ვალეკანო — რეალი
ესპანიოლი — მალიორკა
სელტა — ნუმანსია
ოსასუნა — ლას პალმასი
სარაგოსა — ვილიარეალი

### XXXVI ტური 27 მაისი
ბილბაო — მალაგა
რასინგი — ვალენსია
დეპორტივო — ვალიადოლიდი
ბარსელონა — ოვიედო
რეალი — ალავესი
მალიორკა — რაიო ვალეკანო
ნუმანსია — ესპანიოლი
ლას პალმასი — სელტა
ვილიარეალი — ოსასუნა
სარაგოსა — სოსიედადი

### XXXVII ტური 10 ივნისი
ბილბაო — სოსიედადი
მალაგა — რასინგი
ვალენსია — დეპორტივო
ვალიადოლიდი — ბარსელონა
ოვიედო — რეალი
ალავესი — მალიორკა
რაიო ვალეკანო — ნუმანსია
ესპანიოლი — ლას პალმასი
სელტა — ვილიარეალი
ოსასუნა — სარაგოსა

### XXXVIII ტური 17 ივნისი
რასინგი — ბილბაო
დეპორტივო — მალაგა
ბარსელონა — ვალენსია
რეალი — ვალიადოლიდი
მალიორკა — ოვიედო
ნუმანსია — ალავესი
ლას პალმასი — რაიო ვალეკანო
ვილიარეალი — ესპანიოლი
სარაგოსა — სელტა
სოსიედადი — ოსასუნა

# ვახტანგ ნაცვლიშვილი ბასკოში ივარჯიშებს. მერე?



ვახტანგ ნაცვლიშვილი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი ვახტანგ ნაცვლიშვილი თითქმის წელიწადია, რაც უქმობს. 1999-2000 წლების სეზონის დასაწყისში ისრაელის „ბნეი ჰერცელიასთან" კონტრაქტგაფორმებულმა ნაკრების მაშინდელმა კაპიტანმა თავისი ახალი კლუბის პირველივე ოფიციალურ მატჩში მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მას შემდეგ თვეებია, კალათბურთი აღარ უთამაშია. ამას წინათ ვატო ინდივიდუალურ ვარჯიშს შეუდგა, დროდადრო დატვირთვებსაც უმატა, მაგრამ ტრავმის გამიზეზების შიშით სრულფასოვანი წვრთნისგან მაინც თავს იკავებდა. ახლა კი, ჩანს, საბოლოოდ განიკურნა ეროვნული გუნდის ექს-კაპიტანი და ძალიან მალე მთელი დატვირთვით შეუდგება ახალი სეზონისთვის მზადებას.

ვახტანგ ნაცვლიშვილი ბოლო დღეები თავის ცოლისძმასთან, ასევე ნაკრების წევრ ნიკა ცქიტიშვილთან ერთად ბეთანიაში იმყოფებოდა დასასვენებლად. ახლახან დაბრუნდა თბილისში და „სარბიელს" უახლოესი გეგმებიც გაანდო:

„ბათუმის „ბასკოსგან" წინადადება მივიღე და ვფიქრობ. გამორიცხული არაა, მომავალი სეზონი ზღვისპირული გუნდის შემადგენლობაში გავატარო, თუმც საბოლოოდ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. იმას კი გაგიმხელთ, რომ „ბასკოს" ბორჯომში აუცილებლად გავყვები ათდღიან შეკრებაზე, სადღეისოდ მოსამზადებლად უკეთეს პირობებს ვერც ვინატრებდი. მაგრამ გიმეორებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე უკვე „ბასკოს" წევრი ვარ, ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო.

ამასობაში შესაძლოა სხვა ვარიანტებიც გამომიჩნდეს, ჩემი მენეჯერი ნიკოლაი ტენევი მალე ყველაფერს მეტყვის. იქნებ ისეც მოხდეს, რომ კვლავაც „ბნეი ჰერცელიაში" ამოვყო თავი. ებრაელებთან კონტაქტს არ ვწყვეტ და როგორც ვატყობ, სურთ, რომ ისრაელში ჩავიდე. ერთი სიტყვით, დაფიქრება მმართებს".

## ბოსტონის საზაფხულო ლიგა

# სტეფანია ცოტას აგდებს და ბევრს აფარებს

საზაფხულო ლიგები მომავალი სეზონის ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს და იქ თამაშს არავინ თაკილობს დაწყებული ჩემპიონი „ლეიკერსიდან" ყველაზე უსახური „კლიპერსით" დამთავრებული. მხოლოდ ამ ლიგების მატჩებში ნბა-ს ვარსკვლავებს ვერ იხილავთ. შაკილ ონილს ანაც ალენ აივერსონს ვერავინ გაუბედავს, იქ ითამაშეო. საზაფხულო ლიგაში სათამაშოდ გუნდები სათადარიგო შემადგენლობით მიდიან — გუნდის ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე კაცს ისინი ემატებიან, რომლებიც 12-კაციან შემადგენლობაში მოხვედრაზე ოცნებობენ. ეს გამოუცდელი ხალხია, ჯერ ბოლომდე ვერ შესჩვევია პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგას.

ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსიც" რეგულარულად თამაშობს საზაფხულო ლიგებში. ამასთანავე ამ ზაფხულში ზებგერითები უკვე მეორე ტურნირში მონაწილეობენ. კალიფორნიის ლიგის შემდეგ, რომელიც ლოს ანჯელესის სამხრეთ გარეუბან ლონგ ბიჩში გაიმართა, სიეტლელებმა ქვეყნის საპირისპირო მხარეს, ბოსტონს მიაშურეს და ახლა იქ ცდიან ძალებს. „სიეტლმა" იქ ჯერ ორი მატჩი გამართა „ინდიანასთან" და „სან ანტონიოსთან" და ორივეში დამაჯერებლად იმარჯვა. პირველ შეხვედრაში ვოვა სტეფანია არ მონაწილეობდა. ის და გუნდის კიდევ ერთი „ახალგაზრდა ვეტერანი" ჯელანი მაკკოი ტრიბუნიდან უყურებდნენ, როგორ ანადგურებდა მათი გუნდი წლევანდელი სეზონის ფინალისტს. „სიეტლმა" „ინდიანა" 78:56 დაამარცხა. წინა სეზონის ჩემპიონ „სან ანტონიოსთან" კი სტეფანიამ სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში. ქართველმა მოედანზე 22 წუთი დაჰყო. მან თამაშში ოთხი სროლიდან ორი ჩააგდო ორიდან ერთი საჯარიმო და სულ ხუთი ქულა გააკეთა. ამასთან ერთად ქართველმა თავისიანებს გაუხერხა ერთი მოხსნა, ერთი პასი, ორი ჩაჭრა და სამი დაფარება. სტეფანიამ მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტა თამაში, რაც მეექვსე პერსონალური მიიღო.

საბოლოოდ „სიეტლმა" 89:75 იმარჯვა. ჯერჯერობით „სუპერსონიქსში" ყველაზე უკეთ ორი უკანახაზელი გამოიყურება, გუნდის სათადარიგო გამთამაშებელი შემონდ ვილიამსი და ახალბედა მსროლელი დესმონდ მეისონი, რომელიც „სიეტლმა" ერთი თვის წინ დრაფტში მე-17 ნომრად აიყვანა. ამ ორმა პირველ შეხვედრაში ერთად 32 ქულა მოაგროვა, მეორეში — 42 ქულა და 14 პასი.

ირაკლი ფირაშვილი

## ევროპული ამბები

### საბერძნეთი

# ივკოვიჩზე ნაწყენი კორონიოსი პაოკ-ში გაიქცა

სალონიკის პაოკ-მა სეზონთაშორის პერიოდში კიდევ ერთი კალათბურთელი შეიძინა. ათენის აეკ-ის აწ უკვე ყოფილმა კაპიტანმა, გამთამაშებელმა აგელოს კორონიოსმა სალონიკელებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ხნის განმავლობაში კალათბურთელები 1,7 მილიონ დოლარს მიიღებს, თითო სეზონში — 570 ათასს. პაოკ-ში კორონიოსს საბერძნეთის ნაკრებში ყოფილი თანაგუნდელები — იანის იანულისი, გიორგოს სიგალასი და პანაიოტის ლიადელისი დახვდებიან.

31 წლის კორონიოსმა კარიერა 80-იან წლებში დაიწყო ათენის „პერისტერიში". 1998 წელს იგი აეკ-ში გადავიდა და წინა სეზონში საპორტას და საბერძნეთის თასები მოიგო. კორონიოსს შეეძლო აეკ-თან კონტრაქტის გახანგრძლივება, მაგრამ იუგოსლაველ მწვრთნელ დუშან ივკოვიჩთან ურთიერთობა გაუფუჭდა და სხვა გუნდში გაყიდვა მოითხოვა.

კორონიოსის პაოკ-ში მოულოდნელი გადასვლის მიზეზად სწორედ ივკოვიჩს ასახელებენ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ აეკ-მა მაკედონიელი ვრბიცა სტეფანოვი შეიძინა. ივკოვიჩმა აღნიშნა, რომ სტეფანოვს სასტარტო ხუთეულში დააყენებდა, ხოლო კორონიოსს მის შემცვლელად გაამწესებდა. ცოტა ხნის შემდეგ ივკოვიჩმა თქვა: „სტეფანოვი შესანიშნავი მოთამაშეა. იგი იუგოსლავიელი რომ იყოს, ჩვენი ქვეყნის ნაკრების სასტარტო ხუთეულში ულაპარაკოდ მოხვდებოდა". ეს სიტყვები კორონიოსისთვის განაჩენის ტოლფასი აღმოჩნდა და მან გუნდის დატოვება გადაწყვიტა.

აეკ-ის ვიცე-პრეზიდენტი იანის გრანიცასი კორონიოსის სურვილს წინ არ აღუდგა: მოთამაშეს წასვლა სურდა და ხელი რატომ უნდა შეგვეშალაო. ვიცე-პრეზიდენტი გამორიცხავს აეკ-სა და პაოკ-ს შორის ყოველგვარ წინასწარ მოლაპარაკებას და კალათბურთელის სალონიკში გადაბარგებას შემთხვევითს უწოდებს. დუშან ივკოვიჩი კი ალბათ უფრო ზრდილობის გამო ამბობს შემდეგ სიტყვებს: „სამწუხაროა, კორონიოსმა რომ დაგვტოვა. იმედი მქონდა, რომ იგი და სტეფანოვი გამთამაშებელთა ძლიერ დუეტს შექმნიდნენ, მაგარმ ვერაფერს იზამ, კორონიოსმა ასე არ ისურვა". სხვათა შორის კორონიოსი მეორე ბერძენი კალათბურთელია, ვინც აეკი ივკოვიჩთან კონფლიქტის გამო დატოვა: მანამდე ცენტრმა იაკოვოს ცაკალიდისმა გამოთქვა ამის სურვილი. ცაკალიდისი ამჟამად ამერიკაშია და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „ფინიქს სანზთან" ათანხმებს კონტრაქტის პირობებს.

აეკ-მა კორონიოსის შემცვლელის ძებნა დაიწყო და თვალი ათენის „პანიონიოსის" 27 წლის გამთამაშებელ იანის სიუტისს დაადგა. კორონიოსი კი უკვე ვარჯიშობს პაოკ-ში, სადაც მის გარდა კიდევ სამი ახალწვეულია: ბერძნები გიორგოს სიგალასი და პანაიოტის ლიადელისი (ორივე გადავიდა სალონიკის „არისიდან") და ბელარუსი ვალერი დაინეკო (გადავიდა მოსკოვის ცსკა-დან). სალონიკელებს ამერიკელი ცენტრის შეძენა სურთ. მათ უკვე დაიწყეს მოლაპარაკება რონი საიკლისთან, რომელსაც რამდენიმე სეზონი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გაუტარებია.

გსურთ ხელმისაწვდომ ფასებში მაღალპროფესიული იურიდიული მომსახურება?

მაშ, ეწვიეთ ფირმა „პრეცედენტს", რომელიც მდებარეობს ვერაზე, სასტუმრო „საქართველოს" მოპირდაპირე მხარეს, მელიქიშვილის №7.
ტელ: 29-29-46, 52-64-25 (საღამოს). 8 99 56-00-50

# ნბა-ს ხელფასები

## ბოსტონ სელტიქსი

| მოთამაშე | კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი | კონტრაქტს ვადა გასდის |
|---|---|---|
| კენი ანდერსონი | 7 წელი/50 000 000 აშშ $ | 2003 |
| დანა ბაროსი | 6 წელი/22 000 000 | 2001 |
| ტონი ბეტი | 3 წელი/6 717 000 | 2000 |
| კალბერტ ჩინი | 3 წელი/6 000 000 | 2002 |
| პერვის ელისონი | 6 წელი/12 000 000 | 2000 |
| დანი ფორსტონი | 3 წელი/4 450 000 | 2000 |
| ადრიან გრიფიტი | 1 წელი/385 000 | 2000 |
| უოლტერ მაკკარტი | 3 წელი/8 000 000 | 2002 |
| გრეგ მაინორი | 5 წელი/13 000 000 | 2001 |
| პოლ პირსი | 4 წელი/5 600 000 | 2002 |
| ვიტალი პოტაპენკო | 6 წელი/33 000 000 | 2005 |
| ანტუან უოლკერი | 6 წელი/70 900 000 | 2005 |
| დუგ ოვერტონი | 1 წელი/492 000 | 2000 |
| ერიკ ვილიამსი | 6 წელი/26 000 000 | 2001 |

## მაიამი ჰითი

| მოთამაშე | კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი | კონტრაქტს ვადა გასდის |
|---|---|---|
| ფი ჯეი ბრაუნი | 7 წელი/36 000 000 | 2003 |
| დუეინ ქოზველი | 5 წელი/8 500 000 | 2002 |
| ენტონი კარტერი | 1 წელი/385 000 | 2000 |
| ჰაროლდ ჯემისონი | 1 წელი/301 000 | 2000 |
| ტიმ ჰარდევეი | 4 წელი/20 000.000 | 2000 |
| ტიმ ჯეიმსი | 4 წელი/3 820 000 | 2003 |
| ვოშონ ლენარდი | 5 წელი/11 500 000 | 2002 |
| დან მარლი | 2 წელი/8 000 000 | 2001 |
| ჯამალ მაშბურნი | 8 წელი/30 000 000 | 2001 |
| ალონზო მურნინგი | 7 წელი/112 000 000 | 2003 |
| მარკ სტრიკლენდი | 3 წელი/6 800 000 | 2001 |
| ოტის ტორპი | 2 წელი/4 200 000 | 2001 |
| რექს ვოლტერსი | 1 წელი/1 100 000 | 2000 |
| კლარენს ვეზერსპუნი | 3 წელი/5 800 000 | 2001 |

## ნიუ ჯერსი ნეტსი

| მოთამაშე | კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი | კონტრაქტს ვადა გასდის |
|---|---|---|
| სკოტ ბარელი | 1 წელი/1 000 000 | 2000 |
| მაიკლ კეიჯი | 1 წელი/510 000 | 2000 |
| ევან ეშმეიერი | 2 წელი/600 000 | 2001 |
| ჯეიმი ფეიკი | 6 წელი/15 000 000 | 2005 |
| კენდალ გილი | 6 წელი/24 600 000 | 2000 |
| ლუციუს ჰარისი | 7 წელი/13 400 000 | 2003 |
| კერი კიტლზი | 6 წელი/52 000 000 | 2005 |
| სტივენ მარბერი | 6 წელი/70 900 000 | 2005 |
| ჯიმ მაკილვაინი | 7 წელი/35 000 000 | 2003 |
| შერმან დუგლასი | 2 წელი/2 300 000 | 2000 |
| გეორგ მურეშანი | 1 წელი/510 000 | 2000 |
| ელიოტ პერი | 6 წელი/12 000 000 | 2001 |
| ჯონი ნიუმანი | 2 წელი/2 100 000 | 2000 |
| კით ვან ჰორნი | 6 წელი/81 000 000 | 2005 |

## ნიუ იორკ ნიქსი

| მოთამაშე | კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი | კონტრაქტს ვადა გასდის |
|---|---|---|
| მარკუს კემბი | 6 წელი/39 000 000 | 2005 |
| კრის ჩაილდსი | 6 წელი/24 000 000 | 2002 |
| ენდრიუ ლენგი | 1 წელი/510 000 | 2000 |
| კრის დადლი | 4 წელი/35 000 000 | 2002 |
| პატრიკ იუინგი | 4 წელი/68 000 000 | 2001 |
| ალან ჰიუსტონი | 7 წელი/56 000 000 | 2003 |
| ლარი ჯონსონი | 12 წელი/84 000 000 | 2006 |
| ლატრელ სპრიუელი | 4 წელი/32 000 000 | 2000 |
| კურტ ტომასი | 3 წელი/3 675 000 | 2000 |
| ჯონ უოლესი | 3 წელი/6 600 000 | 2002 |
| ჩარლი უორდი | 6 წელი/28 000 000 | 2004 |
| დევიდ ვინგეიტი | 1 წელი/510 000 | 2000 |

## ორლანდო მეჯიქი

| მოთამაშე | კონტრაქტის ხანგრძლივობა/ხელფასი | კონტრაქტს ვადა გასდის |
|---|---|---|
| რონ მერსერი | 3 წელი/6 101 000 | 2000 |
| დარელ არმსტრონგი | 5 წელი/18 000 000 | 2003 |
| ჩონსი ბილაფსი | 3 წელი/8 227 000 | 2000 |
| მაიკლ დოლეკი | 4 წელი/4 800 000 | 2002 |
| პატ გერიტი | 4 წელი/3 300 000 | 2002 |
| ჩაკი ატკინსი | 1 წელი/385 000 | 2000 |
| ჯონი ტეილორი | 3 წელი/3 111 000 | 2000 |
| ჯონ ამაეჩი | 1 წელი/385 000 | 2000 |
| კორი მეჯიტი | 4 წელი/4 503 000 | 2003 |
| ბო ოუთლოუ | 1 წელი/2 200 000 | 2000 |
| მონტი ვილიამსი | 1 წელი/510 000 | 2000 |
| მეტ ჰარპრინგი | 4 წელი/5 399 561 | 2002 |
| დერიკ სტრონგი | 5 წელი/12 000 000 | 2003 |
| ბენ უოლესი | 2 წელი/1 700 000 | 2000 |

# სლოვენიიდან წამოსული ირაკლი კეიდია ამერიკას უმიზნებს



ირაკლი კეიდია

*პირველი ვლადიმერ სტეფანია იყო, მოგვიანებით მისი სეხნია ბოისა დაადგა სლოვენიის გ ზას, ამ ერთი წლის წინ კი კიდევ სამი ქართველი კალათბურთელი დამკვიდრდა ამ ქვეყანაში.*

*ნიკა ცქიტიშვილმა და დავით უგრეხელიძემ მალევე გრძელვადიანი კონტრაქტები გაუფორმეს ლიუბლიანის „სლოვანს“ და სისტემატურად ჩნდებოდნენ ამ გუნდის შემადგენლობაში. მესამემ, ირაკლი კეიდიამ კი ერთადერთხელ ითამაშა „სლოვანის“ ძირითადში — მძაფრმა კონკურენციამ მას მეტის გაკეთების საშუალება არ მისცა.*

*მართალია, კეიდიამ სლოვენიაში ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ ახალგა ზრდული ასაკი და დიდი კალათბურთის თამაშის დაუოკებელი წყურვილი მოდუნების უფლებას არ აძლევს. ირაკლის ნამდვილად არ ჩაუქნევია ხელი, ამაში მასთან საუბარმაც დაგვარწმუნა:*

— „სლოვანთან“ ოფიციალური კონტრაქტი არც მქონია, მხოლოდ ვვარჯიშობდი გუნდში, დღეში ორჯერ დიდებში და ერთხელაც ახალგაზრდულ შემადგენლობაში. ამ ერთი წლის განმავლობაში თავი არ დამიზოგავს, დღეში შვიდ-რვა საათს ვმუშაობდი, მაინც არ მათამაშებდნენ და სხვა რა უნდა მეკეთებინა, უქმად ხომ არ ვიჯდებოდი?

**— თუ ასეა, აქამდე რატომ დარჩით სლოვენიაში, სხვაგან თუ ვერ მოეწყობოდით, საქართველოში ხომ მუდმივი თამაში მოგიწევდათ?**

— წამოსვლა ნამდვილად შემეძლო, მაგრამ სლოვენიაში ისეთი დონის საკალათბურთო სკოლაა, შანსი ხელიდან არ უნდა გამეშვა. სად აქაური სავარჯიშო პირობები და სად იქაური, შედარებაც არ შეიძლება.

**— სათამაშო პრაქტიკის უქონლობა? შეუძლებელია, ეს არ გაღელვებდეთ...**

— გეთანხმებით, სათამაშო პრაქტიკა მართლაც მომაკლდა, მაგრამ ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ამის გამოსწორება კიდევ შეიძლება. სამაგიეროდ, ბევრი ისეთი რამ ვნახე და შევითვისე, რაზეც მანამდე წარმოდგენა არ მქონდა. ამიტომაა, რომ მაინცდამაინც არ მწყდება გული, პირიქით, ძალიან კმაყოფილი ვარ და რომ შემეძლოს, კიდევ დავრჩებოდი სლოვენიაში.

**— ხელს რაღა გიშლით?**

— სლოვენიელებს ასეთი წესი აქვთ, თუ უცხოელს როდესმე თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსება დაუცავს, სლოვენიის ჩემპიონატში მხოლოდ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება ეძლევა. თავის დროზე მე საქართველოს კადეტთა და ჭაბუკთა გუნდებში მითამაშია და იქაურ პირველობაზე არც სხვა ლიგაში შემეძლო გამოსვლა და არც ახალგაზრდულ ჩემპიონატში. უგუნდოდ ყოფნა კი უაზრობა იქნებოდა.

**— უმაღლესი ლიგის სხვა გუნდები არ დაინტერესებულან თქვენით? სხვა კლუბში მოწყობა არ გიცდიათ?**

— ჩემამდე არანაირი შემოთავაზება არ მოსულა. ბუნებრივიცაა, სხვაგან რომ მიგიწვიონ, ელემენტარულად შენი თამაში უნდა ნახონ. მე კი, ხომ გითხარით, მთელი სეზონი მხოლოდ ვვარჯიშობდი.

**— ახალგაზრდულ გუნდში ხომ თამაშობდით?**

— ახალგაზრდულ ჩემპიონატში „სლოვანი“ უკონკურსოდ გამოდიოდა, ამიტომ მხოლოდ ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში მივიღეთ მონაწილეობა. ეს არც არის სათვალავში ჩასაგდები, სულ რამდენიმე მატჩი გავმართეთ.

**— როგორ ფიქრობთ, „სლოვანის“ ძირითადში დამკვიდრება რატომ ვერ შეძელით?**

— საამისოდ მზად არ ვიყავი, უპირველესად იმიტომ, რომ გამოცდილება არ მქონდა, თანაც ჩემს პოზიციაზე კონკურენციაც ძალიან დიდი იყო.

**— საქართველოში ყოფნისას, მახსოვს, თავდამსხმელადაც თამაშობდით, უკანა ხაზშიც, ფრთაზეც... იქ რა ამპლუა შეგირჩიეს მწვრთნელებმა?**

— „სლოვანის“ მთავარი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი ვარჯიშებზე მუდმივად უკანა ხაზში მაყენებდა, გამთამაშებლის დამხმარედ. რაც იქ ვიყავი, სხვა ფუნქცია არც დაუკისრებია ჩემთვის მაჰორიჩს.

**— თქვენს პოზიციაზე, თუ არ ვცდები, ნოვაკი შეუცვლელია „სლოვანისთვის“. მაშ, თქვენი უმთავრესი კონკურენტი სლოვენიის ნაკრების უკანახაზელი იყო?**

— ნოვაკი მართლაც შეუცვლელია და მის დაჯაბნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემი კონკურენტები სხვები უფრო იყვნენ, ჟაკელი და შუშტარშიჩი, რომლებიც ასევე ძალიან მაღალი კლასისანი არიან. საერთოდაც, ჩემს პოზიციაზე მაჰორიჩს ყველაზე დიდი არჩევანი ჰქონდა.

**— ძირითადად რა სახის შენიშვნებს გაძლევდათ მწვრთნელი?**

— ტაქტიკასთან მწყრალად ხარო, თავიდან სულ ამას მეუბნებოდა. ამიტომ ჩემთან საუბრისას თეორიულ წვრთნაზე აკეთებდა აქცენტს.

**— ცქიტიშვილისგან და უგრეხელიძისგან ვიცი, რომ მაჰორიჩი ქართველებს ყველაზე მეტად დაცვაში თამაშს გვიწუნებს...**

— ასეა, იქ მივხვდით, რომ წარმოდგენა არ გვქონია, თუ როგორ უნდა გვეთამაშა დაცვაში. თავიდან მეც გამიჭირდა, მაგრამ მალევე ავუღე ალღო, რაშიც, ვფიქრობ, კარგი ფიზიკური მომზადება დამეხმარა.

**— ფიზიკურად საგანგებოდ ემზადებოდით?**

— ამ კომპონენტს ყოველთვის დიდ ყურადღებას ვუთმობდი. ესეც რომ არა, ტომო მაჰორიჩს ჩემი ბუნებრივი მონაცემები მოსწონდა, უკანახაზელის კვალობაზე საკმაოდ მაღალი, 203 სანტიმეტრი ვარ, მაგრამ სწრაფი გადაადგილება მეხერხება და ნახტომიც კარგი მაქვს.

**— ახლა რას აპირებთ, საქართველოში გააგრძელებთ კარიერას?**

— ეჭვი მეპარება, აქ დავრჩე. აჯობებს, სადმე სხვაგან წავიდე, იქ უფრო ბევრს ვისწავლი.

**— სურვილი სურვილად, მაგრამ რაიმე ვარიანტი თუ გაქვთ?**

— სავსებით შესაძლებელია, თავი ამერიკაში ამოვყო. ერთი ნიუიორკელი მენეჯერი გავიცანი, კრის კაჩი, რომელიც იქაურ კოლეჯში მოწყობას მპირდება. ამერიკაში ვისწავლი კიდეც და კალათბურთსაც ვითამაშებ კოლეჯის გუნდში. ვფიქრობ, სადღეისოდ ეს ყველაზე ხელსაყრელი შანსია ჩემთვის. ვნახოთ, სულ მალე მეცოდინება ყველაფერი, კაჩი დღეს-ხვალ დამირეკავს და ყველაფერში დაწვრილებით გამარკვევს. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, უახლოეს ორ-სამ წელს ოკეანისგაღმა გავატარებ.

გიორგი გიქაშვილი



# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

პოლონეთი. 1-ლი ტური

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | შლიონსკი-გურნიკი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 002 | ვისლა-რაძიონკოვი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 003 | სტომილი-ოდრა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 004 | რუხი-ვიძევი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 005 | ლეგია-ზაგლებე | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 006 | ამიცა-პოლონია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 007 | პლოცკი-გროცლინი | 1,8 | 3,0 | 4,2 |

23 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | კატოვიცე-პოგონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-3 ტური

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 010 | სენტ გალენი-არაუ | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 011 | ბაზელი-ლუცერნი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 012 | ლუგანო-ციურიხი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 013 | სერვეტი-ლოზანა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 014 | ივერდონი-სიონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-4 ტური

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | ვანგენი-დელემონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 016 | ვინტერთური-კარუჟი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 017 | კრინსი-სოლოთურნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 018 | ბადენი-ვილი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 019 | ლოკარნო-თუნი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 020 | იანგ ბოისი-ბელინცონა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

დანია. 1-ლი ტური

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 021 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

23 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 022 | აკადემისკი-სილკებორგი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 023 | მიდტიულანდი-ლიუნგბიუ | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 024 | კოპენჰაგენი-ჰადერსლევი | 1,3 | 4,4 | 8,0 |

24 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 025 | ოდენსე-ვიბორგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

რუსეთი. მე-18 ტური

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 026 | ფაკელი-ლოკომოტივი | 5,3 | 3,3 | 1,6 |
| 027 | სპარტაკი-კრილია | 1,15 | 4,4 | 12,0 |
| 028 | სატურნი-ტორპედო | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 029 | ანჟი-ალანია | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 030 | ჩერნომორეცი-ცსკა | 1,75 | 3,0 | 4,4 |

23 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 031 | როტორი-ურალანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

შვედეთი. მე-12 ტური

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 032 | ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

23 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 033 | გიოტებორგი-აიკ | 2,0 | 3,1 | 3,4 |

24 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 034 | ტრელებორგი-სუნდსვალი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 035 | ფრიოლუნდა-ჰამარბი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 036 | ელფსბორგი-ნორჩიოპინგი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 037 | იორგრიტე-იორებრო | 1,7 | 2,9 | 5,3 |

ნორვეგია. მე-15 ტური

23 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 038 | ბრინი-ტრომსიო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 039 | ჰაუგესუნდი-მიოლდე | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 040 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 041 | მოსი-სტარტი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 042 | სტაბეკი-ოდ გრენლანდი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 043 | ვოლერენგა-ბოდიო გლიმტი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 044 | ბრანი-რუსენბორგი | 3,0 | 2,9 | 2,3 |

გერმანია. ლიგის თასი (ნეიტრალურზე)

24 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | ჰამბურგი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |

საფრანგეთი. სუპერთასი (ნეიტრალურზე)

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 046 | მონაკო-ნანტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

მჩ შესარჩევი მატჩები

23 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | სალვადორი-სენტ ვინსენტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 502 | პანამა-კანადა | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 503 | ტრინიდადი-მექსიკა | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 504 | იამაიკა-ჰონდურასი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 505 | გვატემალა-ბარბადოსი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 506 | კოსტა რიკა-აშშ | 2,7 | 3,0 | 2,4 |

ევროპის ჩემპიონატი (18 წლამდე) (გერმანიაში)

21 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 507 | გერმანია-ხორვატია ($14^{00}$) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 508 | ჰოლანდია-უკრაინა ($14^{00}$) | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 509 | ჩეხეთი-ფინეთი ($14^{00}$) | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 510 | საფრანგეთი-რუსეთი ($14^{00}$) | 2,3 | 2,9 | 3,0 |

23 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 511 | | | | |

24 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 512 | | | | |

№507-510 და №512 წყვილებზე ფსონები მატჩების დღეს მიიღება მხოლოდ ცენტრალურ ოფისში რუსთაველის გამზირზე 14.00 საათამდე. სხვა პუნქტებში მატჩის დღეს დადებული ფსონები გაუქმებულად ჩაითვლება (კოეფიციენტი - 1,0)

ინტერტოტო. III ეტაპი. II მატჩები

22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 513 | ასტონ ვილა (ინგლისი)-დუკლა (ჩეხეთი) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 514 | სიგმა (ჩეხეთი)-სლავენი (ხორვატია) | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 515 | პელისტერი (მაკედონია)-სელტა (ესპანეთი) | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 516 | ვოლფსბურგი (გერმანია)-სედანი (საფრანგეთი) | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 517 | ზალცბურგი (ავსტრია)-სტანდარდი (ბელგია) | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 518 | შტუტგარტი (გერმანია)-ლანსი (საფრანგეთი) | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 519 | ტატაბანია (უნგრეთი)-ზენიტი (რუსეთი) | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 520 | აუსტრია (ავსტრია)-ჩაჰლაული (რუმინეთი) | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 521 | ვალვაიკი (ჰოლანდია)-ბრედფორდი (ინგლისი) | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 522 | კალამატა (საბერძნეთი)-ბლშანი (ჩეხეთი) | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 523 | ოსერი (საფრანგეთი)-როსტსელმაში (რუსეთი) | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 524 | უდინეზე (იტალია)-ოლბორგი (დანია) | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# კაპიტან ჯონის ოდისეა

**დღეს ესპანურ სანტანდერში დევისის თასის მეორე ნახევარფინალური მატჩი დაიწყება: მასპინძლები აშშ-ის შესუსტებულ ნაკრებს შეხვდებიან. გამარჯვებული, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში, ერთი კვირის წინ საგზურდაბევებულ ავსტრალიას შეებრძოლება**




ჯონ მაკინროის ლამის მარტოს მოუწიოს ხუან ბალსელსთან, ალბერტ კოსტასთან, ალექს კორეჩასთან, ხუან კარლოს ფერეროსთან და ხავიერ დუარტესთან შებმა

### ესპანეთი — აშშ

შარშან შემოდგომაზე ჯონ მაკინროი ბედნიერი კაცი იყო — როგორც იქნა, დიდი ხნის ოცნება აისრულა, ამერიკის ჩოგბურთის ფედერაციის თავკაცები მოთაფლა და დევისის თასის გუნდის კაპიტნის სამკლაური მოირგო.

ახლა, რამდენიმე თვისა და თმის გამჭაღარავებელი ორი მატჩის შემდეგ ზიმბაბვესა და ჩეხეთთან, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, წვრილშვილიანი მამა, წარუმატებელი გიტარისტი და შესანიშნავი კომენტატორი, იძულებულია, მწარე რეალობას გაუსწოროს თვალი: შეიძლება ითქვას, რომ ჩიტი ბდღვნად სულაც არ ღირდა, კაპიტნის თანამდებობას სიამოვნებაზე მეტად ნერვიულობა და იმედგაცრუება მოაქვს თან.

მაკინროი განსაკუთრებით თავისი ორი ვარსკვლავის, პიტ სამპრასისა და ანდრე აგასის შემოთვლილმა უარმა გაამწარა ესპანელების წინაამდეგ თამაშის წინ: „ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ამირჩიეს, ის იყო, მოთამაშეები დამეთანხმებინა მონაწილეობაზე. ამ მხრივ ვერაფრით დავიტრაბახებ. მინდა ვიფიქრო, რომ უბრალოდ არ მიმართლებს, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ეს ასე ძნელი იქნებოდა. თავიდან ყველა მპირდება, ვითამაშებო, მერე, როცა ამის დრო მოდის, გუნდში აღარავინ მრჩება“.

სამპრასმა ორი კვირის წინ უიმბლდონი კი მოიგო, მაგრამ სანტანდერში ჩასვლა ფეხის ტრავმის გამო იუარა, აგასი კი შინ, ლას ვეგასში, მსუბუქ ავარიაში მოჰყვა და ზურგი და მკლავი დაიზიანა.

„პიტისგან მოველოდი კიდეც უარს, ანდრეს ინციდენტი კი უსიამოვნო სიურპრიზი იყო. არა მგონია, ავარიის ამბავი მას იმიტომ მოეგონებინა, რომ ესპანეთში არ ჩამოსულიყო. ანდრე არ არის ამის კაცი. მას შეეძლო, უბრალოდ დაერეკა ჩემთვის და ეთქვა, ისეთ მდგომარეობაში ვარ, ვერაფრით დაგეხმარებიო. ეს საკმარისი იქნებოდა“.

მაკინროი იმდენად ხელჩაქნეულია, რომ პოსტიდან გადადგომაც კი განუზრახავს, თუმცა გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ჩქარობს: „წლების მანძილზე ის მაინც ვისწავლე, რომ ცხელ გულზე არაფერი გავაკეთო, ჯერ ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი. არ ვიტყვი, მორჩა, ეს წვალებად არ ღირდა-მეთქი. არ მსურს, ასე იოლად დავნებდე“.

ორი ვარსკლავის არყოფნაში კაპიტანმა გუნდში ვეტერან, მაგრამ ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში უთამაშებელ ტოდ მარტინს, უიმბლდონის მეოთხედფინალისტ ჟან-მაიკლ გემბილს, ზიმბაბვეში სტუმრობის გმირ კრის ვუდრაფსა და ვინს სპედეას უხმო. წყვილებში კი შაბათს, სავსებით შესაძლებელია, თავად ითამაშოს.

სანტანდერის თიხნარის კორტზე მაკინროი სხვებზე არანაკლებ მონდომებულად ვარჯიშობს და ჯერჯერობით საწვრთნელ შეხვედრებში სხვადასხვა პარტნიორთან ერთად ერთი სეტიც კი არ წაუგია: „ვცდილობ, კარგად მოვემზადო იმ შემთხვევისთვის, თუ კორტზე გასვლას მართლაც გადავწყვეტ. წყვილებში თამაში ყოველთვის კარგად გამომდიოდა, თანაც არა მგონია, დიდი არჩევანი მქონდეს“.

თუმცა ზედ კენჭისყრის წინ მაკინროიმ წყვილებში სასპარეზოდ გამოუცდელი და შეუთამაშებელი სპადეა ვუდრაფის დუეტი ამჯობინა: „ვალიარებ, რომ ჩემს გუნდს გამარჯვების მცირე შანსი გააჩნია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქედან შერცხვენილები წავალთ. ესპანელებს დევისის თასზე ხშირად ჰყავდათ კარგი გუნდი, მაგრამ მაინც აგებდნენ“.

### პროტესტი და საფეხურები

ესპანელთა კაპიტანი ხავიერ დუარტე ნახევარფინალის წინ სულ სხვანაირი დილემის წინაშე იდგა. მას ერთბაშად სამი საუკეთესო მოთიხნარე — ალექს კორეჩა, ალბერტ კოსტა და ხუან კარლოს ფერერო ჰყავდა განკარგულებაში, რომელთაგანაც ერთ-ერთი უნდა დაეწუნებინა.

საბოლოოდ ერთეულებში თამაშის შანსი როლან გაროსის 20 წლის ნახევარფინალისტ ფერეროს ნაცვლად შედარებით გამოცდილ უფროს კოლეგებს — კორეჩასა და კოსტას მიეცათ.

ორივე ჩოგბურთელი ივნისის ბოლოს სკანდალში გაეხვია, როდესაც პროტესტის ნიშნად უიმბლდონზე თამაშზე უარი განაცხადეს: კლასიფიკაციაში წინ ყოფნის მიუხედავად, „ოლ ინგლენდ კლაბის“ თავკაცებმა ისინი 16 განთესილს შორის არ შეიყვანეს.

კორეჩამ მოულოდნელად გამოჩენილი თავისუფალი დრო დასვენების ნაცვლად მარათონულ მორბენალ მეგობართან ერთად ბარსელონაში, ვარჯიშში გაატარა: „შუადღის პაპანაქებაში, 35-გრადუსიან სიცხეში კიბეებზე აღმა დავრბოდით. გულისრევა მკლავდა, მაგრამ 10 დღის თავზე გაცილებით უკეთ და ფიზიკურად მოღონიერებულად ვიგრძენი თავი“.

შედეგად ალექსმა ჯერ ესპანეთის ეროვნული პირველობა, მასტერსი მოიგო, მერე კი გშტაადის ტურნირზეც იმარჯვა შვეიცარიაში.

თიხნარზე თამაში ნაკლებად დაოსტატებულ იანკებთან შეხვედრაში ესპანელები დამსახურებულად ითვლებიან ფავორიტებად და კორეჩას ეს სულაც არ აწუხებს: „მერვედფინალსა და მეოთხედფინალშიც ასეთივე სიტუაციაში ვიყავით, მაგრამ ზეწოლა არც დაგვტყობია. ჩვენ გვწამს, რომ მოგება შეგვიძლია, მაგრამ ზედმეტი თავდაჯერებულობის უფლებას თავს ვერ მივცემთ, ეს შეცდომა იქნება“.

**ავთანდილ სვანიძე**

შტუტგარტი. გერმანია.
„მერსედესის თასი“. თიხნარი.
საპრიზო 1 მილიონი $

**პირველი წრე:** **მაგნუს ნორმანი** (1, შვედეთი) — ბიორნ ფაუ (გერმანია) 6:2, 6:2; **ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:7 (5:7), 7:6 (8:6); **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 5:7, 6:3, 6:3; **იუნეს ელ აინაუი** (4, მაროკო) — კრისტიან ვინკი (გერმანია) 6:1, 7:6 (10:8); **ფრანკო სკილარი** (5, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (არგენტინა) 6:1, 6:3; **ტომი ჰაასი** (6, გერმანია) — დევიდ მიკეტა (ჩეხეთი) 3:6, 7:5, 6:2; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — დომინიკ ჰრბატი (8, სლოვაკეთი) 6:3, 7:5; **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 6:3, 6:2; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:2, 6:1.





ივონ რობმა შარშან ტაიგერ ვუდსის კოცნა მოახერხა

# 10 000 გირვანქა იმას...

## გაიხადეთ და აკოცეთ ტაიგერ ვუდსს

მავანმა ინგლისელებმა 10 000-გირვანქიანი პრემია დააწესესო — იუწყებოდა გუშინდელი „სანი“ თავის საპირველგვერდო მასალაში, რომელსაც ტიტლიკანა ქალების ეფექტური ფოტოები ახლავს თან. პრემია გადაეცემა მათ, ვინც სენტ ენდრიუსის გრანდიოზულ საგოლფე ტურნირზე, მსოფლიო გოლფის უცილო მეფეს, ტაიგერ ვუდსს შიშვლად მიეახლება და კოცნას მოუხერხებს.

ამ არცთუ დაწყობილ იდეას საფუძველი შარშანდელ ანალოგიურ ტურნირზე ჩაეყარა, როცა აბერდინელმა გოგონამ, ივონ რობმა ხალხის ტალღა გაბედულად გაარღვია და ქვეყნის დასანახად მიუალერსა მომდევნო დარტყმის განსახორციელებლად მომზადებულ ტაიგერს, რომელიც ამ დროს მე-18 მინდორზე იმყოფებოდა; რობივე გახლავთ წლეულს თავისი წარმატებული მცდელობის განმეორების მოსურნე, თუმცა 10 ათასმა გირვანქამ სხვაც მრავალი მოიყვანა მადაზე. პოლიცია გაფრთხილდა, ასობით წესრიგის დამცველია მობილიზებული ხალხის სათვალთვალოდ და შერეკილთა გამოსაჭერად, სპეციალური კამერები კი ამ საქმეში სერიოზულ დახმარებას გასწევს. სტრიკერებზე (შიშვლად მორბენალთა ზოგადი სახელია) მუშაობა ტურნირის დაცვის სამსახურის საწვრთნელი პროგრამის შემადგენელ ნაწილად იქცა, მაგრამ ყოველივე ამის გამო ივონ რობი დიდად არა ნუხს, მას ვუდსამდე მისაღწევად სამპუნქტიანი გეგმა შეუმუშავებია და წარმატების იმედი აქვს.

„ჩემს გეგმას ასე განვახორციელებ — ეუბნება რობი „სანს“ — 1. ჩავიცვამ მაისურსა და შარვალს, რომელთა წამში გაძრობა შემეძლება; 2. წავიყვან ორ მეგობარს, ისინი ღობეზე გადაძრომაში დამეხმარებიან (ღობე მაღალია და კისრის მოტეხვა შეიძლება); 3. დაველოდები მომენტს, როცა უსაფრთხოების ხალხი სხვა მხარეს გაიხედავს და ვუდსისკენ გიჟივით გავიქცევი“.

რა არ ხდება...



10 000 გირვანქის მსურველს რა გამოლევს

# დარიომ კარტი არია

## იაგუარს შოტლანდიელი ფრანკიტი მოახტება





დარიო ფრანკიტი „კარტის" ბოლიდიდან ფორმულა 1-ის ბოლიდში გადაჯდება

იმაზე, რომ ფორმულის ერთ-ერთი უხნესი მრბოლი, 36 წლის ჯონი ჰერბერტი, რომ წლეულს „იაგუარს" დატოვებს, ლამის სეზონის დასაწყისიდანვე ალაპარაკდნენ.

მართალია, ბრიტანელმა პილოტმა 12-წლიან კარიერაში სამი დიდი პრიზის მოგება შეძლო, მაგრამ დღემდე ვერაფრით დაუძლევია თუნდაც ასქულიანი ზღვარი. ის კი არა, წლევანდელ ათ რბოლაში კინკილა ქულაც სანატრელი გაუხდა (ხუთჯერ სულაც ვერ მიაღწია ფინიშამდე). ჰოდა, რა გასაკვირია, რომ „იაგუარ-ფორდის" ხელმძღვანელობა მასთან კონტრაქტის დარღვევას ჩქარობს. იმასაც ამბობენ, გუნდის ამერიკელი პრეზიდენტი ნილ რესლერი, ალბათ, სეზონის დასრულებას არ დაელოდება და ვადამდე დაითხოვს უხეირო ვეტერანსო. შემცვლელი, წესით, ტესტ — პილოტი უნდა გახდეს — ესე იგი ბრაზილიელი ლუჩანო ბურტი, რომელმაც ხუთი დღის წინ ავსტრიაში, ედი ირვინის ნაცვლად ირბოლა (მას მუცელი ასტკივდა) და სულაც არ დაუტოვებია ურიგო შთაბეჭდილება, მაგრამ ბრიტანულ-ამერიკული საჯინიბოს ბოსმა ოკეანისგაღმა, „კარტის" სერიაში მოასპარეზე დარიო ფრანკიტის დაადგა თვალი. 27 წლის შოტლანდიელმა, ეტყობა, ბოლიდის მართვის ახალგაზრდული, ენერგიული მანერით მოხიბლა და მალე საბოლოო გადაწყვეტილებაც მზად იქნება.

ყოველ შემთხვევაში, როსლერმა უკვე მორიგი, გერმანულ ეტაპისწინა ტესტებზე უხმო დარიოს. შოტლანდიელი სამი დღით მიუჯდება „იაგუარის" საჭეს გამოცდილების მისაღებად და მომავალ სამუშაო ადგილთან — კოკპიტთან შესაჩვევად, მერე კი კვლავ შტატებს მიაშურებს მორიგ რბოლაში მონაწილეობისათვის. ფრანკიტი რამდენიმე წლის წინ „ფორმულა 3000"-ში გამოდიოდა და ამომავალ ვარსკვლავადაც ითვლებოდა, მაგრამ სამეფო რბოლებს „კარტი" ამჯობინა.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ დარიო, შარშანდელი ვიცე ჩემპიონი, მიმდინარე სეზონში დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნის. ბოლო ეტაპებზე მან თავი იმით „გამოიჩინა", რომ სამჯერ ზედიზედ პირველივე წრეზე ავარიის მიზეზი გახდა. გასულ კვირას, ტორონტოში, ფრანკიტიმ სტარტზევე შეჯახების შედეგად რბოლიდან გამოთიშა „კარტის" შარშანდელი ტრიუმფატორი, კოლუმბიელი ხუან მონტოია, ვისაც გაისად ფრენკ უილიამსის გუნდში ელიან. ეტაპი კი მოიგო 37 წლის მაიკლ ანდრეტიმ, რამდენიმე წლის წინ ფორმულაში ერთობ უნიჭოდ ძალანაცადმა პილოტმა. ამ გამარჯვებით ანდრეტი წამოეწია გათამაშების ლიდერს, ბრაზილიელ რობერტო მორენოს, სამეფო რბოლების კიდევ ერთ ექსპილოტს — მათ შორის სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. მონტოია კი მხოლოდ მერვე ადგილზეა.

საინტერესოა, შესძლებს თუ არა ამერიკამოვლილი შოტლანდიელი სათანადო დონეზე დაუმშვენოს მხარი ფორმულაში უკვე სახელგანთქმულ თანამემამულეს, ორი წლით უფროს დევიდ კულჰარდს.

**ირაკლი ნიკოლაძე**



# ბებერმა კორჩნოიმ ქალებში არ დაინდო



ნანა იოსელიანი

ნანა იოსელიანმა მიუნხენში, მამაკაცთა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმა შეასრულა და პირად ჩათვლაში ჩინელ სიუ ჟუნთან ერთად მეორე-მესამე ადგილები გაიყო. ერთადერთი, ვისაც ქალთა ჩინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა და ქართველმა ვერაფერი დააკლეს, უბერებელი ვიქტორ კორჩნოი იყო, რომელმაც, ეს უკვე მერამდენედ, ბავარიის დედაქალაქში გამართული მეცხრე ტრადიციული ტურნირი — „ვეტერანები ქალბატონების წინააღმდეგ" მოიგო, თუმცა გუნდური ანგარიში სუსტი სქესის სასარგებლოდ დაფიქსირდა — 27:23 და გლობალურ (ცხრაწლიან) ანგარიშშიც ქალებმა თორმეტქულიან ჩამორჩენას მესამედი მოაკლეს. ახლა ვეტერანები 273:265 იგებენ. მიუნხენში ტურნირის მეორე ნახევარმა საკმაოდ თანაბრად ჩაიარა. იოსელიანმა მეექვსე რაუნდში კორჩნოისთან წააგო, მაგრამ შემდეგ ერთხელაც მოუგო ჰანს ბუვმეესტერს, მას შავებით მარკ ტაიმანოვი მიაყოლა და დასკვნით ორ პარტიაში ვასილი სმისლოვთან და ვლასტიმილ ჰორტთან ყაიმებს დასჯერდა. დანარჩენი ქალებიდან ჩინელებმა ივარგეს, თუმცა კორჩნოისთან სიუ ჟუნმაც წააგო და ჟუ ჩენმაც. ალისა გალიამოვასთან ყაიმს თუ არ ჩავთვლით, ჭარმაგმა ვიქტორმა ტურნირის მეორე ნახევარში ყველა პარტია მოიგო და, აკი ამიტომაც გაიმარჯვა, თორემ პირველი ნახევარი ასე წარმატებით არ გაუვლია, IV ტურში ჟუ ჩენმა დაამარცხა.

ბოლოსწინა ადგილზე გავიდა სოფი პოლგარი. პოლგარების ტრიოს დანარჩენი წევრებისგან განსხვავებით, ჭადრაკს მის ცხოვრებაში ნაკლები ადგილი უნდა ეჭიროს.

ახლა უფრო მნიშვნელოვან ტურნირზე მოგითხრობთ, რომელიც ასევე დასრულდა, ოღონდ იტალიურ სენტ ვინსენტში. იქ ევროპელ ვაჟთა პირადი პირველობა გაიმართა. ზურაბ აზმაიფარაშვილი და თამაზ გელაშვილი იცავდნენ საქართველოს ღირსებას, თუმცა შესაფერისი შედეგი ერთმაც ვერ უჩვენა. აზმაიფარაშვილი მესამედ იყო განთესილი და მეთორმეტე-ოცდამესამე ადგილები გაიყო, ბუღოლცის კოეფიციენტმა კი საბოლოოდ მეჩვიდმეტე ადგილზე განათავსა. ქართველის თამაშში დიდი რყევები შეინიშნებოდა, თერთმეტიდან მისი მხოლოდ ორი პარტია დასრულდა ყაიმით. მე-8 ტურში აზმაიფარაშვილმა ჰოლანდიის სახელით მოთამაშე სერგეი ტივიაკოვი დაამარცხა, მერე შავებით იტალიელ მიქელე გოდენას მოუგო და ხელახლა გაერია ლიდერთა მარაქაში. ამას მოჰყვა თეთრებით დასანანი წაგება „ჭადრაკის პრინცთან" (ასე 20 წლამდე ასაკის მსოფლიოს ჩემპიონს უწოდებენ), რუს ალექსანდრ გალკინთან და ამით ყველაფერი დამთავრდა. ბოლო ტურში მოპოვებულ გამარჯვებას ქართველის ღირსეულ ადგილზე გაყვანა უკვე აღარ შეეძლო.

თამაზ გელაშვილი 56-ე ადგილზე გავიდა 120 მოჭადრაკეს შორის და რადგანაც 37-ედ იყო განთესილი, ამას წარმატებად ვერ ჩავუთვლით.

ევროპის პირველი ჩემპიონი რუსი პაველ ტრეგუბოვი გახდა. როგორც შვეიცარიულ სისტემას შეჰფერის, ეს ამბავი ბოლო ტურში გაირკვა, მანამდე კი ლიდერის ადგილისთვის ცხარე ბრძოლა არ შენელებულა. შვიდი ტურის შემდეგ იგივე ტრეგუბოვი დაწინაურდა, მაგრამ უეცრად ახალგაზრდა პოლონელმა, ტომაშ მარკოვსკიმ გამოიღო ხელი. პოლონეთის ორგზის ჩემპიონმა, რომელიც თავიდან მხოლოდ 22-ე ნომერი იყო, ჯერ ებრაელი ილია სმირინი დაამარცხა (მეორედ განთესილი), შემდეგ იოლად რუს ანდრეი ხარლოვს სძლია და ბოლოს, ტრეგუბოვიც, მომავალი ჩემპიონი იმსხვერპლა. 9 ტურის შემდეგ პოლონელი ერთპიროვნული ლიდერი შეიქნა და ეს იმ დროს, როცა სენტ ვინსენტში ყველაზე მაღალი რეიტინგის პატრონი, მარკოვსკის თანამემამულე მიხეილ კრასენკოვი ყაიმს ყაიმზე აკეთებდა და ვერაფრით მიახლოებოდა მოწინავეებს.

მეათე ტურმა ვითარება უფრო დაძაბა. მარკოვსკი შავებით ბელარუსმა ალექსეი ალექსანდროვმა დაამარცხა (საერთოდ, სენტ ვინსენტში ფიგურების ფერთა სხვაობას იმის მეხუთედი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენიც ელიტარულ ტურნირებზე), სამაგიეროდ, ალექსანდროვს დასკვნითი პარტია ტრეგუბოვმა მოუგო და აი, ამ დომხალის საბოლოო შედეგიც: რვა ქულა ოთხმა კაცმა დააგროვა, ტრეგუბოვის, ალექსანდროვისა და მარკოვსკის დარად კიდევ ერთი რუსი აღმოჩნდა მწვერვალზე, უკვე ნახსენები ხარლოვი. საქმეში, ცხადია, ყოვლისშემძლე კოეფიციენტები ჩაერია და ბუღოლცის კოეფიციენტმა ევროპის პირველ ჩემპიონად პაველ ტრეგუბოვი დაასახელა. ალექსანდროვიც ბედნიერი იქნებოდა, მეორე ადგილზე გავიდა და თავიდან კი სწორედ ასე იყო დაგეგმილი: ინდოეთში გასამართ ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე სენტ ვინსენტის ორი საუკეთესო უნდა წავიდეს.

დასკვნის სახით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ პირველი თორმეტი ადგილიდან ათი ყოფილი „საბჭოთა საჭადრაკო სკოლის", აწ უკვე მთელ მსოფლიოში გაფანტულმა შვილებმა დაიკავეს. კარგი რამ იყო საბჭოთა სკოლა...

**დავით გულუა**

### ვეტერანები ქალბატონების წინააღმდეგ

პირადი ჩათვლა

1. ვიქტორ კორჩნოი — 7,5; 2-3. ნანა იოსელიანი, სიუ ჟუნი — 6,5; 4. ალისა გალიამოვა — 6; 5-6. ვასილი სმისლოვი, ჟუ ჩენი — 5; 7. ვლასტიმილ ჰორტი — 4,5; 8. მარკ ტაიმანოვი — 3,5; 9. სოფი პოლგარი — 3; 10. ჰანს ბუვმესტერი — 2,5.



# იტალია ოკეანეში ჩაიძირა

### იტალია ოკეანეთში

**ფიჯის პროვინციები 34:18 იტალია**

**ფიჯის პროვინციები: 5ლ — ბარი (3), დავუ, ლაგაირი; 3გ და 1ს — ლაგაირი**
**იტალია: 2ლ — პერუჯინი, ფრანსეზიო; 1გ და 2ს — სკანავაკა**

### ტესტი

**ფიჯი 43:9 იტალია**

**ფიჯი: 5ლ — ვუნიბაკა, სატალა, რაივალუი, ლითლი, ლაგაირი; 3გ და 4ს — ლითლი**
**იტალია: 3ს — კეიროლო (2), მაძარიოლი**

იტალიამ ოკეანეთური ტურნე წაგებით დაიწყო და ასევე დაამთავრა. ოთხ მატჩში ოთხი მარცხი, არადა, მეტოქეები უძლეველნი ნამდვილად არ იყვნენ. ორი ტესტი სამოასთან და ფიჯისთან და ორი შეხვედრაც ამ კუნძულების ულეგიონერებო ნაკრებებთან. იტალიამ კი ყველა თამაში წააგო. ამისი მთავარი მიზეზი უხეიროდ ფიზიკური მომზადებაა, იტალიელები მეორე ტაიმებში ველარ უმკლავდებოდნენ მოწინააღმდეგეს.

ფიჯის პროვინციებთან აპენინელებმა კარგად დაიწყეს და უკვე მე-4 წუთზე გაიტანეს ლელო. თავი კვაჭმა პერუჯინიმ გამოიჩინა. თუმცა ეს უპირატესობა ხანმოკლე გამოდგა. ათ წუთში მასპინძელთა ფრთამ, ბარიმ გაათანაბრა ანგარიში. შესვენებამდე მეტოქეებმა კიდევ თითო-თითო ლელო გაიტანეს, საჯარიმოებიდან და გარდასახვებიდანაც თანაბრად მოიხვეჭეს ქულები და 15:15. მეორე ორმოცწუთეულში კი ევროპელები ჩვეულებისამებრ გატყდნენ და კიდევ სამი ლელო გაუშვეს. აღსანიშნავია, რომ ფიჯელმა იფერეიმი ტავაკემ თავისი უკანასკნელი საერთაშორისო მატჩი ითამაშა, პირველად მან საკუთარი ქვეყნის ღირსება შორეულ 1985 წელს(!) დაიცვა.

ტესტი ფიჯის დედაქალაქ სუვადან 270 კილომეტრით დაშორებულ ლუტოკაში გაიმართა და 11 ათასი მაყურებელიც დაესწრო. ფიჯიში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, რითიც სუვა საკმაოდ დაზარალდა და ამიტომაც უმასპინძლეს იტალიელებს ლუტოკაში.

43:9! ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს, მაგრამ ორიოდ სიტყვას მაინც გეტყვით მატჩის მიმდინარეობაზე. ფიჯელები სტუმრებს ფიზიკურადაც სჯობდნენ და განსაკუთრებით უკანახაზელთა ტექნიკით. ვუნიბაკამ, სატალამ, ბაიმ და დელასაუმ სულ აიკლეს აპენინელთა დაცვა. პირველ ტაიმში კუნძულელებმა სამი ლელო გაიტანეს და 27:3 მოიგეს. ორჯერ იტალიელთა კაპიტანი სტოიკა, რომელიც მცველად გაემწესებინა ახალზელანდიელ მთავარ მწვრთნელ ბრენ ჯონსტონს, ბავშვივით გააპამპულეს. თუ ვუნიბაკას სტოიკა სისწრაფეში ვერ გაეჯიბრება, რაივალუიმ, რომელიც მორკინალია და 120 კგ-ს იწონის, როგორ გაასწრო მას, საოცარია. ამ ლელოებს ლითლმა სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო დაურთო, პასუხის გაცემა კი მხოლოდ კეიროლომ შეძლო ერთი საჯარიმოთი.

შესვენების შემდეგ იტალიამ მოულოდნელად თამაში გამოასწორა, მაგრამ მეტოქის დალელოება ვერაფრით მოახერხა. ფიჯიმ კი კიდევ ორი ლელო გაიტანა და აპენინელებს ტურნე ძალიან მინორულ ნოტაზე დაასრულებინა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### წყნარი ოკეანიის ჩემპიონატი

მერვე ტური. 15 ივლისი

**კანადა 62:18 იაპონია**

**აშშ 12:19 სამოა**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამოა | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 1 | 178:107 | 20 |
| ფიჯი | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 0 | 178:107 | 19 |
| ტონგა | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 1 | 104:98 | 14 |
| აშშ | 5 | 2 | 0 | 3 | 2 | 1 | 109:131 | 11 |
| კანადა | 5 | 2 | 0 | 3 | 1 | 0 | 149:146 | 9 |
| იაპონია | 5 | 0 | 0 | 5 | 0 | 1 | 95:239 | 1 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცულეს სამშობლომ აწყინა

## არმსტრონგს ძილი ტყუილად დაუფრთხეს



პელოტონი ჟენევის ტბაზე



ჰოლანდიელმა ერიკ დეკერმა 87-ე „ტურ დე ფრანსზე“ მესამე ეტაპი მოიგო. მან ევიან-ლე-ბენსა და ლოზანას შორის 155-კილომეტრიან გზაზე აჯობა ყველას. ეტაპი იმითაც გამოირჩა, რომ მისი დაწყება მარკო პანტანიმ ვერ შეძლო, შუა გზაზე კი, სანამ მშობლიურ შვეიცარიაში გადავიდოდა, ალექს ცულემაც მიანება რბოლას თავი. საერთო ჩათვლაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა და ლენს არმსტრონგმაც იოლად შეინარჩუნა ყვითელი მაისურა.

ლემანის ტბიდან ჟენევის ტბამდე, 28 წლის ტეხასელს წინა დღის მსგავსი პრობლემები აღარ შექმნია. ალპების ბოლო ეტაპზე ის აშკარად დაღლილი ჩანდა და მდევრებთან წუთზე მეტიც წააგო, მაგრამ ამჯერად მისთვის ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ „პოსტალის“ ლიდერი დილაადრიან წამოაგდეს ლოგინიდან ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ექიმებმა დოპინგ-კონტროლის ჩასატარებლად, მან მაინც კარგად აკონტროლა პელოტონი. მის გარდა ექიმებმა კიდევ 13 მრბოლს (მათ შორის 8 საერთო ჩათვლის პირველი ათეულიდან გახლდათ) დაუფრთხეს ძილი. დოპინგის კვალი არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა.

32 წლის ცულემ, ვინც 1996 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ლუგანოში ინდივიდუალურ რბოლაში, თქვა, რომ „დიდი მარყუჟის“ გზა მისი ტანადობის მრბოლისთვის ზედმეტად მთიანია და აქ ვერასოდეს გაიმარჯვებს. იგი საერთო ჩათვლაში ამ ეტაპის წინ 47-ე ადგილზე იყო და არმსტრონგთან საათსა და 26 წუთს აგებდა. პანტანიმ კი კუჭ-ნაწლავი მაწუხებს და ამიტომ არ გამოვალო. ტკივილები წინა ეტაპის დაწყებამდეც მქონდა, ალბათ, რამემ მომწამლაო, დაამატა მან. ამაზე „პოსტალის“ სპორტულმა დირექტორმა იოან ბრუინელმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „როცა ამბობენ, პანტანი წინა დღეს უკვე ცუდად იყოო, არ მჯერა. ვერ გამიგია, მაშინ როგორ შეეძლო მთელი დღის განმავლობაში შეტევების განხორციელება. მას არც ეტაპის მოგება ჰქონდა განზრახული და არც საერთო ჩათვლაში თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება. უბრალოდ, არმსტრონგს გადაეკიდა ვანტუს მთის შემდეგ და უნდოდა, მისთვის პრობლემები შეექმნა. ნამდვილად არაჯენტლმენური ქცევაა, მაგრამ რას ვიზამთ, ყველაფერი ხდება“.

დავუბრუნდეთ დეკერს, რომელმაც ბელგიელ მარიო აერტსთან ერთად სპრინტი ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე წამოიწყო. 1992 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა მერე პელოტონის შემოტევას ბოლომდე გაუძლო და ფინიშზე მწვანემაისურიან ზაბელს მაინც მიასწრო.

„არ მეგონა, თუ აერტსი ასეთი სწრაფი იყო. ჩემი წინა ორი გამარჯვებით ცოტა გავყოყოჩდი და მეგონა, იოლად მოვიგებდი, მაგრამ გამიმართლა, რომ არ წავაგე. უკან არც მომიხედავს და არც ვიცი, აერტსი რომელ ადგილზე გავიდა“ — თქვა სიხარულისგან აცრემლებულმა დეკერმა. აერტსი კი მეექვსე იყო. ყველაზე მეტად იმედგაცრუებული კი ზაბელი დარჩა, რომელიც ბოლო ოთხი წელია, „ტურის“ საუკეთესო სპრინტერია, მაგრამ ეტაპი 1997 წლის მერე აღარ მოუგია.

დეკერს წარმატება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან-ანტონიო სამარანჩმაც მიულოცა. ჰოლანდიელმა მესამედ კი გაიმარჯვა, მაგრამ ეს შედეგი რეკორდისგან ძალიან შორსაა. შარშან მარიო ჩიპოლინიმ ოთხი ეტაპი მოიგო. შარლ პელისიეს (1930), ედი მერქსსა (1970 და 1974) და ფრედი მარტენსს კი ერთ „ტურზე“ რვარვა ეტაპზე უმარჯვიათ.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მეჩვიდმეტე ეტაპი

ევიან-ლე-ბენი — ლოზანა, 155 კმ

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 3სთ 24წთ 53წმ
2. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
3. ფრედ როდრიგესი (აშშ, მაპეი)
4. ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი, ბონჟური)
5. რობი მაკიუენი (ავსტრალია, ფარმ ფრაიტსი) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 75სთ 37წთ 23წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +5წთ 37წმ
3. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ფესტინა) — +6წთ 38
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +6წთ 43
5. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) — +7წთ 36





### ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია



ევიან-ლე-ბენს „ლემანის მარგალიტს“ უწოდებენ. მას ერთი მხრიდან მთები ესაზღვრება, მეორედან კი ლემანის ტბა. ეს პატარა ქალაქი მთელს საფრანგეთში და დასავლეთ ევროპაში განთქმულია მინერალური წყლით, რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში აღმოაჩინეს და „ევიანის“ სახელითაა ცნობილი. ევიან-ლე-ბენი ტბის სამხრეთ სანაპიროზეა და ნახევარმთვარის ფორმისაა. ამ კურორტის ეკონომიკა მის ბუნებასთან ჰარმონიულადაა შერწყმული. არქიტექტურა კი მართლაც თვალწარმტაცი სილამაზისაა.



რომაული დასახლება ლაუზონიუმის ადგილზე, ჟენევის ტბის სანაპიროზე დღეს ვოს კანტონის ადმინისტრაციული ცენტრი ლოზანა მდებარეობს. შუა საუკუნეებში ლოზანა ეპისკოპოსთა ქალაქი იყო. ეკლესიის ხელისუფლება აქ 1536 წელს გაუქმდა. შვეიცარიის ეს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი ტრანსევროპული მნიშვნელობის სარკინიგზო კვანძია. აქ განვითარებულია მეორეული მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, პოლიგრაფიული მრეწველობა. არის ცნობილი უნივერსიტეტი, უმაღლესი ტექნიკური სკოლა, კიბოს დაავადებათა ევროპული კვლევის ცენტრი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავისი ოლიმპიური მუზეუმით და ათზე მეტი საერთაშორისო სპორტული ფედერაციების, მათ შორის ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის შტაბ-ბინები. ამ ქალაქში ხშირად იმართება სხვადასხვა დიდი სპორტული ღონისძიებები. უკანასკნელ ხანს ლოზანაში ჩატარდა ფიგურული სრიალის, ტანვარჯიშისა და ტრიატლონის მსოფლიოს ჩემპიონატები. აქვე ყოველწლიურად იმართება მძლეოსნობის დიდი ტურნირი და ჟენევის ტბის ნაპირას და ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებულ ვენახებში მარათონული რბენა.

### ერთი დღის ისტორია

#### 20 ივლისი

გუშინ 1947 წლის „ტურ დე ფრანსზე“ გესაუბრეთ და დღესაც მსოფლიო ომის შემდგომ პირველ „ტურზე“ მოგითხრობთ. 20 ივლისს მისი ბოლო ეტაპი მოეწყო. ორი დღით ადრე ინდივიდუალურ რბოლაში ვაიტომ გამარჯვების ყველა შანსი დაკარგა, მაგრამ სხვა მრბოლებს შორის ბრძოლა კვლავაც გრძელდებოდა. პარიზში უამრავ ადამიანს მოეყარა თავი და მზად იყო, ახალ ჩემპიონს მხურვალე ოვაციებით შეხვედროდა. კაენი-პარიზის ეტაპის წინ ყვითელი მაისურა იტალიური წარმოშობის ფრანგს, პიერ ბრამბილას ემოსა, მაგრამ ბრიტანელ ჟან რობიკს თავისი ბოლო სიტყვა ჯერ კიდევ არ ეთქვა. პირინეებში და ალპებში იგი უძლიერესი იყო და ინდივიდუალური რბოლის შემდეგ კიდევ უფრო მიეწია ბრამბილას. როცა პელოტონი რუანს გასცდა, ბონსეკურის აღმართზე რობიკმა შეტევა და მანამდე გაქცეული ფაშლეიტნერის დაწევა გადაწყვიტა. ბრეტონელის პირველი, მეორე, მესამე იერიში, ბრამბილა მას დაწინაურების საშუალებას არ აძლევს. თუმცა რობიკი ჯიუტად განაგრძობს შეტევებს, მეტოქეც ნებდება, ჯერ ერთ მეტრს აგებს, მერე ათს, ბოლოს კი „ტურ დე ფრანსსაც“. რობიკი გაიქცა, ფაშლეიტნერს მიეწია და პარკ დე პრენსზე მოწყობილ ფინიშზეც ამ დუეტმა მიასწრო დანარჩენებს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პირველი „ტური“ ჟან რობიკმა მოიგო.

# გამარჯობა, რიგითო დერამე

მესამე კვირაა „ტურ დე ფრანსი“ მიმდინარეობს და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ეტაპებზე როდის მოგითხრობთ, „ტურის“ სხვა ამბებსაც გამცნობთ. დღეს პელოტონის ერთ-ერთ რიგით წევრს წარმოგიდგენთ. შარშან პასკალ დერამე „პოსტალში“ ირიცხებოდა, ლენს არმსტრონგის გრეგარი იყო და ამერიკელის გამარჯვებაშიც დაიდო წილი. სეზონის დასრულების შემდეგ იგი ფრანგულ „ბონჟურში“ გადავიდა და წლევანდელ „ტურზე“ გაცილებით ნაკლები სამუშაო აქვს, რადგან ბონჟურელთაგან არავინ ცდილობს ყვითელი მაისურის მოპოვებას... მაშ ასე, გავიცნოთ პასკალ დერამე, პელოტონის რიგითი წევრი.

**— პასკალ, როგორ მიმდინარეობს „ტურ დე ფრანსი“ თქვენთვის?**

— ალბათ ისე, როგორც ყოველთვის. „ტურში“ მონაწილეობა მუდამ უდიდეს ფიზიკურ და მორალურ ძალისხმევას მოითხოვს. განსაკუთრებით მაშინ, როცა პელოტონი მთებში ადის, იქ კი წვიმა და სიცივეა. ჩემთვის მთებში რბოლა ფსიქოლოგიურად ძალიან რთულია, რადგან ამისთვის წინდაწინ უნდა განეწყო. მომავალ ეტაპზე ყოველთვის ბევრს ვფიქრობ. საუკეთესო ფორმაში მესამე კვირაში შევდივარ ხოლმე. იმედია, წლეულსაც ასე იქნება.

**— შარშანდელთან შედარებით გაცილებით ნაკლებს ირჯებით.**

— რა თქმა უნდა. ჩემს გუნდს წლეულს ყვითელი მაისურა არ მოუპოვებია, ამიტომაც მის დასაცავად ძალების ხარჯვა არ დაგვჭირვებია. წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ პოსტალელებმაც გაცილებით ნაკლები იმუშავეს, ვიდრე შარშან, რადგან ყვითელი მაისურა არც მათ მოურგიათ შეჯიბრის დასაწყისისთანავე. ლენს არმსტრონგი თანაგუნდელებს მოუფრთხილდა. სხვათა შორის, არც ერთ გუნდს არ შეუსრულებია უზარმაზარი სამუშაო, საკმაოდ „ღია თამაში“ მიდის.

**— „ბონჟურში“ როგორ მიგდით საქმე?**

— ძალიან კარგად. ყოველთვის ვცდილობდით, ბრძოლაში ჩავბმულიყავით, სულ შეტევებზე ვფიქრობდით და ერთი დღის გამოკლებით „ტურის“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გუნდი ვიყავით. შეჯიბრის დაწყებამდე მის წარმართვას სწორედ ასე ვგეგმავდით. ჩვენ არ გვყავს ისეთი ლიდერი, რომელიც „ტურის“ მოგებაზე იფიქრებს. უბრალოდ შეიძლება ვინმემ ერთ ეტაპზე იმარჯვოს და საბოლოო ჩათვლაში თხუთმეტეულში შევიდეს. ჯერჯერობით ვერც ერთი ეტაპი ვერ მოვიგეთ, მაგრამ დრო კიდევ გვრჩება.

**— რას გრძნობთ, როცა ხედავთ, რომ ლენს არმსტრონგი კვლავ უძლიერესია?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ. ყოველთვის პატივს ვცემდი და მიყვარდა იგი, როგორც მრბოლი. მშვენიერი პიროვნული ურთიერთობაც მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ისე ახლოს არ ვიყავი, როგორც სხვა პოსტალელებთან, მაგალითად, ჯორჯ ჰინკეპისთან. სხვადასხვა ნამდვილებს შეიძლება უთანხმოება ჰქონდეთ, როგორც არმსტრონგსა და პანტანის. ეს ჩემი საქმე სულაც არაა, მაგრამ, ვფიქრობ, ამერიკელი მართალი იყო. „პოსტალმა“ ძალიან კარგი მოგონებები დამიტოვა. სხვა გუნდებთან შედარებით, სადაც ადრე მირბოლია, იქ თავს გაცილებით კარგად ვგრძნობდი. საუცხოო დრო იყო.

**— რით განსხვავდებიან „პოსტალი“ და „ბონჟური“?**

— უპირველესად, „ბონჟური“ ფრანგული გუნდია და შესაბამისად, უცხო ენაზე საუბარი არ მიწევს. გარდა ამისა, მისი ყველა წევრი, „პოსტალისგან“ განსხვავებით, ერთი რეგიონიდან ვართ. თითქმის ყველას ბავშვობაში ან ახალგაზრდობაში ერთად გვირბოლია. შესანიშნავად ვიცნობთ, სწრაფად ვუგებთ ერთმანეთს და ეს ურთიერთობას აადვილებს. ლამის ერთი ოჯახი ვართ.

**— ამიტომაც გადაწყვიტეთ „ბონჟურში“ გადასვლა?**

— არა. მე პროფესიონალი ჟან-რენე ბერნოდოს გუნდში გავხდი და მას მაშინვე შევპირდი, როცა კვლავ შექმნიდა გუნდს უყოყმანოდ დავუბრუნდებოდი. როდესაც ჟან-რენე ახალშექმნილი „ბონჟურის“ თავკაცი გახდა, სიტყვაც ავასრულე. სხვაზე არაფერზე მიფიქრია.

**— ხომ არ ნანობთ?**

— არა!

**თარგმნა გაგი გურულმა**

ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული,
კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე



☎ 931572

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნორვეგია** — ლილესტრომი 3:0 სტრომსგოდსეტი

თასის 1/8 ფინალი — ლინი 0:3 მოსი



# ყურადღება!

ტაივანში ოლიმპიადისთვის მზადებას დიდი ყურადღება ექცევა. ტაივანის პრეზიდენტი ყველგან არის: ხან ჭოგრიტიდან თავისი ქვეყნის მშვილდოსანთა სიზუსტეს ამოწმებს, ხანაც ტაეკვანდოს მიმდევართა ხელ-ფეხის ქნევას უჭვრეტს დიდი ყურადღებით. ტაივანელები სიდნეიდან კუნძულის ისტორიაში პირველ ოქროს მედალს ელიან.



# მოხუცი და ნაყინი



„დრო შეიცვალა, შვილებო! — იმოძღვრება ბებერი მეგოლფე ჯეკ ნიკლაუსი — იყო ხანი, თქვენისთანებს ხუთს მაინც ერთად შევკრავდი; მუხლი მგლისა მქონდა, მუშტი რკინისა და რა ვიცი კიდევ... ახლა კი... ნაყინის პირთან მიტანა მიჭირს... ვაჰ, დრონი, დრონი...“

ჩვენ კი გვიკვირს, რად გაუსვა მოხუცმა ხაზი ზემორე თვისებებს, მეგოლფეა, მოკრივე ხომ არა...

# ხუმარა გაზა

სრულიად „ევერტონი“ ფაციფუცობს, პრემიერლიგის დაწყებამდე განა იმდენი რა დარჩა, კაცმა თავს მოდუნების უფლება მისცეს? ამიტომაც გახურებულა მასაჟები, მოთელვები და ოფლის ღვრა. პოლ გესქოინი კი ამ დროს მედიასთან ღლაბუცობს. არა, ამ კაცს ვერაფერი გაასწორებს, „ევერტონში“ კი არა, თუნდაც მთვარეზე გადავიდეს!





# ქოჩორა ტუა

სამბრძოლოქოჩრიანი ახალზელანდიელი დევიდ ტუა გახლავთ, მეტოქეს ქოჩრით რომ შესცქერის. რობერტ დენიელს უფრო უწყინარი მზერა აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რინგზე დანდობა არ იქნება. სასწორზე კრივის საერთაშორისო ფედერაციის ინტერკონტინენტალური და აშშ-ის კრივის ასოციაციის ქამრებია შემოდებული.

# შმანკონი ვართ!

დოპინგისადმი თავიანთი ზიზღის შესახებ, პირზე ღიმილით იუწყებიან ავსტრალიის ოლიმპიური ნაკრების წევრები: ლუიზა სევეჯი და იან ტორფი. მათ ანტიდოპინგური პასპორტები აიღეს და თუ ოლიმპიადისთვის რაიმე უნდა იეშმაკონ, ასეთი გახსნილი სახეები არ ექნებოდათ. სწამთ ალბათ თავიანთი უბიწოების!





# ჭუკჭუკი მაღალ დონეზე

საინტერესო საუბარი მიდის ლოჟანაში, სადაც სეოკ-ის პრეზიდენტი (მარჯვნივ) შვეიცარიაში გადასული „ტურ დე ფრანსის“ მასპინძელთაგანია. იგი ადგილობრივ ვითარებას აღუწერს ცენტრში მდგარ ჰეინ ვერბრუგენსა (ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი) და „ტურის“ დირექტორს, ჟან-მარი ლე ბლანს. ფრანგს, გერმანელსა და ესპანელს შორის სრული გაგება სუფევს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ქართული ფეხბურთის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქტორი** სოლომონ გულისაშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორაშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge